

თამაზ გოდერძიშვილი

# თარგმანები



გამომცემლობა „კონტაქტი“  
თბილისი  
2020

გეორგ ბიუნერი,  
სტანისლავა პშიბიშევსკა

## მკვლევობა და საქმე

### ჟორჟ დანტონისა

ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

დანტონი  
ლუჟანდრი  
დეჟულენი  
დელაკრუა

} – დეპუტატები

ფილიპი  
ვესტერმანი  
ბურდონი  
რობესპიერი  
სენ-ჟიუსტი

} – საზოგადოების ხსნის კომიტეტის წევრები

ლენდე

კოლო დე ერბუა

ბიო ვარენი

ფუკიე – პროკურორი

ბარერი – ტრიბუნალის წევრი

ჟიული – დანტონის ცოლი

ელეონორა დიუპლე – რობესპიერის მეგობარი

მოქალაქენი – ქალები – კაცები, ჯარისკაცები,  
დეპუტატები, ჯალათები და სხვები.

## პირველი მოქმედება

### პირველი სცენა

*ქუჩა. რივი საფუნთუშესთან. ქუჩის კუთხეში კედელზე გაკრულია პლაკატი. ვარიორაყია.*

**ჯაშუში** – *(პანიკური ჩურჩულით)* ერთი შეხედეთ, ისევ გაუკრავთ პლაკატი იმ ემზაკის შვილებს!

**ქვისმთლელი** – მერე რა... ახალი წლის შემდეგ მაგეების მეტს რას ვხედავთ!...

**ჯაშუში** – მაგეები?! რას ბრძანებთ, ეგ ხომ უზენაესი მოსამართლეა!

**ქვისმთლელი** – მერე ამ დილაადრიან ამიტომ აყბედლი!!

**ჯაშუში** – კაცს ხმა ვერ ამოუღია, იმწამს ყელში სწვდებიან...

**ქვისმთლელი** – შენ ისევ აქა ხარ? *(ჯაშუში იგრძნობს, რომ აქ კერაფერს გამოდნება და ახალშეშოსულ მადლენსა და სიუზანს უახლოვდება)*

**სიუზანი** – ო! მადლენ, მოდი, რა გაჩვენო! ისევ გაუკრავთ!

**მადლენი** – გაუკრავთ, გაუკრავთ, რა მოხდა?! ჩვეულებრივი აფიშა არ გინახავს?

**სიუზანი** – ეს არის ჩვეულებრივი? ნახე რა წერია: „მოქალაქენო! შეიგნეთ, კონვენტი გამყიდველებით აივსო!...“

**მადლენი** – ნუ კითხულობ მაგ სისულელეს! მოდი, თორემ რიგს დაკარგავ! *(ვილაცას მართლაც უნდა მადლენის უკან ადვილი დაიკაოს, მაგრამ ჯაშუში გამოეჭიმება)*

**ჯაშუში** – უკაცრავად, აქ ეს ქალბატონი დგას *(ადვილს დაუთმობს სიუზანს)*

**მბეჭდავი** – ხედავთ, ამ ებერტისტებს? *(პლაკატზე)* ნამდვილად ჩვენი გასულელება უნდათ.

**ინტელიგენტი** – ებერტისტებსაო? ებერტისტებს ვინ ჰკითხავთ! მეგობრებო, ამის გამკეთებელი, პარიზში... პარიზში კი არა, მთელ მსოფლიოში ერთადერთი ადამიანია!

**ჯაშუში** – ნეტავ თქვენც თუ იმაზე ფიქრობთ, ვინც მე მგონია?.. *(ინტელიგენტი მიხვდება, ვისთანაცა აქვს საქმე და შიშით ხმა ჩაუწყდება)*

**სიუზანი** – ვინ არის ეს კაცი? ალბათ, ეს ის არის, არა? უზენაესი მოსამართლე? ხომ მართალი ვარ? გამოვიცანი? *(დაძაბული სიჩუმე. ინტელიგენტი თვალთ ანიშნებს ჯაშუშზე).*

**ქერა** – ამ პურს რაღა ჯანდაბა ემართება! დღედაღამ ამ რიგში უნდა იდგე! *(შემოდიან: დარბაისელი ქალი, დიასახლისი, ხუთი ქალი და ექვსი კაცი).*

**ინტელიგენტი** – *(ისევ გაფითრებულია)* რას იზამ, მოქალაქე, ომია!

**მბეჭდავი** – ომი კი არა, სპეკულიანტების საქმეა! სამართალი მაგათზე არ ჭრის და გილიოტინისა მაგათ არ ეშინიათ!

**სტუდენტი** – ეს უეცარი შიმშილი იმათი საქმეა, გადატრიალებას ვინც ნატრულობს.

**ჯაშუში** – *(სიუზანს)* რაზე მოგიწყენიათ, მოქალაქე? საქმრო ჯარში გაიწვიეს?

**სიუზანი** – დამანებეთ თავი!

**ჯაშუში** – რატო მიბრაზდებით. მე ხომ გეხუმრეთ?

**სიუზანი** – *(ყვირილით)* დამანებეთ თავი!

**მადლენი** – *(ჯაშუშს)* გაეთრიე აქედან!

**ჯაშუში** – რა გინდათ ჩემგან? მე თქვენს უკან კი არა, ამ ქალიშვილის მერე ვდგევარ!

**ქვისმთლელი** – *(ჩაკვიდებს ქეჩოში ხელს და მოისვრის ჯაშუშს)* შე ტილიანო! შეაყოლე აქედან, რომ გეუბნებიან! *(რიგში ყველამ გაუვო ერთმანეთს)*

**ინტელიგენტი** – *(ჯაშუშს, რომელიც ბრუნდება)* თქვენ... თქვენ სად იდევით? *(ჯაშუში ცდილობს, სიუზანის უკან შეეკეხოს)* როგორ გეკადრებათ! კეთილი ინებეთ და ბოლოში დადევით!

**ქვისმთლელი** – *(ისევ გამოათრევს ჯაშუშს)* არ გეხმის, რას გეუბნებიან? *(რიგის ბოლოსკენ ჰკრავს ხელს).*

**ქერა** – მადლობა ღმერთს! ჩვენ კი... დაგვიღია პირი და ... სიფრთხილე სულ დაგვკარგეთ...

*(ზარის ხმა. ყველა გაქვავდა. სიჩუმე)*

**ინტელიგენტი** – *(ჩურჩულით)* რა ხდება? ამ დროს?

**მადლენი** – *(ჩურჩულით ყვირის)* განგაშია!!

**ქერა** – ესეც ასე! სადღაც ისევ ამბოხებაა! *(წამიერი უმოძრაობის შემდეგ იწყება და თანდათან ძლიერდება აურზაური).*

**სიუზანი** – *(ძალზე აღვზნებულიად)* მე ხომ ვიცოდი, ვიცოდი, რომ რაღაც მოხდებოდა! ვიცოდი!

**I ქალი** – *(მეორეს)* აბა, გავიქცეთ, შინ გავიქცეთ ჩქარა!

**II ქალი** – პური?

**III ქალი** – ახლა ისევ დაიწყება ხოცვა-ჟლეტა და ყელების დაჭრა... როგორც სექტემბერში!

**ყველა** – გავიქცეთ! შინისაკენ! გავიქცეთ, თორემ ყველას დაგვხოცავენ! პური? პური, ჩემი პური! ყელებს დაგჭრიან! *(ზარის ხმა შეწყდა. ატეხილი აურზაურიც უცებ შეწყდა: ყველამ შეებით ამოისუნთქა. და იწყება ყველაფერი თავიდან: მხოლოდ ეს უკვე ნერვული სიხარულია)*

**ქვისმთლელი** – *(ქალებს)* რა სულელები ხართ!

**სიუზანი** – *(ოხვრით)* სამწუხაროა...

**ხეიბარი** – ეტყობა, ისევ დაიწყო ზარების კონფისკაცია. აი, ასე შემოჰკრავენ ხოლმე და არჩევენ. მალე, ალბათ, ღვთისმშობლის ტაძრის რივიც დადგება.

**დარბაისელი** – *(ვაცხარებით)* თქვენ რა გგონიათ, კომიტეტი სპორტული ინტერესის გამო ომობს?

**ქერა** – ადრე რევოლუცია უფრო მხიარული იყო. ახლა – ისე მოსაწყენია, მამთქნარებს. *(მბეჭდავი, სტუდენტი და ქვისმთლელი უხმოდ აღშფოთდებიან)*

**ხეიბარი** – ეგ კი მართალია! ოთხმოცდათორმეტში ასე არ ვიზმორებოდით! ქუჩების ომი ეს ხომ... ეს ხომ წმინდა სამოთხეა! *(სიცილი, აღშფოთება)*

**ინტელიგენტი** – *(კეთილგანწყობით)* და ვისთვის იბრძვით ან რისთვის, ეს თქვენთვის სულერთია?

**ხეიბარი** – რატომ? ერთია, როცა კაპრალის შპიცრუტენის შიშით ომობ და სულ სხვა გრძნობაა, როცა ბარიკადებს აწერია: ძმობა! თავისუფლება! თანასწორობა!

**მბეჭდავი** – ეს! სადღაა ძმობა, თანასწორობა! თავისუფლება! კაცმა თუ ძალაუფლება ხელთ იგდო, იმწამსვე დაყრუვდება. ხალხის ხმა აღარ ესმის. ყოველთვის ასე იყო და ყველგან: ეგ სულერთია, ტახტზე ზის თუ კონვენტში! *(შიშისა და აღშფოთების წაძი. შეკავებული ყვირილი ფარავს ამ სიტყვებს).*

**ხმები** – *(ყველანი ჯაშუშს შესცქერავენ)* გაგიჟდა ეს ოხერი! ასეთი სიტყვებისათვის თავს წააგებს!

**მბეჭდავი** – დიდი ამბავი! თავი რა ჯანდაბად მიწდა, რწმენა თუ არ მექნება! ურწმუნო კაცს კი სიკვდილის აღარ ემინია.

**ინტელიგენტი** – ათასი წლობით მონობის შემდეგ, როგორ გგონიათ, შესაძლებელია ექვს კვირაში უფლებების მოპოვება?

**სტუდენტი** – *(მბეჭდავს)* თქვენი იჭვი, მოქალაქე, სუფთა ღეზურტირობაა! *(ისევ შემოდის ჯაშუში)*

**დიასახლისი** – ასეთ მსჯელობას რა სჯობს, ბატონო, მაგრამ აბა ერთი ოჯახი გქონდეთ, ექვსი წყვილი თვალი შემოგცქეროდეთ და ექვსი ხახა საჭმელსა გთხოვდეთ... მაშინ სხვანაირად ილაპარაკებდით...

**ინტელიგენტი** – *(კეთილგანწყობით, ჯაშუშზე ანიშნებს თვალებით)* ვილაპარაკებდი, მაგრამ აუდიტორიასაც გააჩნია, მოქალაქე! შესაძლოა, კონვენტის შვიდას დეკუტატს შორის მართლაც აღმოჩნდეს ერთი-ორი სულელი და ნამუსგარეცხილი, მაგრამ რის მაქნისები არიან ისინი თუნდაც მხოლოდ რობესპიერთან შედარებით *(რობესპიერის ხსენებაზე თითქოს ყველას მენიღაცა)*

**ქვისმთლელი** – რაც მართალია-მართალია! რობესპიერი ავად გახდა და რევოლუციასაც დაეტყო.

**ქერა** – რევოლუცია რახანია დამთავრდა, მოქალაქე! რესპუბლიკას ახლა მშვიდობა და თავისუფლება უნდა, მაგრამ რობესპიერი აჭიანურებს ამ ომს და თანაც გვიბრძანებს, ქამრები მაგრა შემოიჭირეთო, რომ შიმშილით შარვლები არ ჩაგვედერეს. ამოგვართვა სული, გაწამდა ხალხი. ამიტომაც არის, რომ ყველაფერი ფეხებზე გვკიდია.

**მბეჭდავი** – შენ დანტონთან ხომ არ მეცადინეობ კერძოდ?

**ქერა** – ებერთან მეცადინეობას დანტონთან შევირდობა მირჩევნია! იცოდეთ, თქვენისთანა მოლალატეების გამო ვშიმშილობთ. ხომ ხედავთ თქვენი რადიკალური ცდების შედეგს? *(ეს-ეს არის ჩხუბი უნდა ატყდეს, რომ გამოჩნდება პატიმარი, ბაღრავის თანხლებით)*. აჰა! დასტკბით! ესეც თქვენი ნახელავია! დღე არ გავა, სიკვდილმისჯილი არ ჩამოატარონ!

**სტუდენტი** – ეი, ეგ ვინ არის? *(პასუხი არ ისმის)*

**ხეიბარი** – გვიპასუხეთ! ვინ მოგყავთ?

**საღდათი** – როიალისტია! რა გნებავთ?

**ინტელიგენტი** – მერე ფეხით რატომ მოგყავთ, ვითომ რა ხდებაო?

**საღდათი** – ჯანმრთელია და იმიტომ. თვითონ მივა გილიოტინამდე. ჯერ კიდევ შეუძლია სიარული.

**ჯაშუში** – *(დროს იხელოებს და მოსაუბრეთ უახლოვდება)* იქით კი ივლის, აი, უკან გაუჭირდება. რაო, მესიე გრაფ? უკანაც

ფეხით გამობრუნდებით? *(აქა-იქ იცინიან, მაგრამ ხალხი არ აპყვება)*.

**სიუზანი** – *(კანკალით),* ო, ღმერთო ჩემო... რა ლამაზია... საწყალი... *(ვიღაც თანაგრძნობით გაიღიმებს, მაგრამ საერთო განწყობა არ არის კეთილი. პადრაგი მიდის. რევოლუციური არმიის ორი შეიარაღებული ჯარისკაცი საფუნთუშეს სარკმელზე აბრახუნებს და შესასვლელის აქეთ-იქით დგებიან)*.

**ხმები** – *(შვებით აღმოხდებათ)* გველირსა! სამი საათია ვიცდით! ნეტა ყველას გვერგოს... *(მეპურე კარს აღებს. სიხარულის შეძახილები. პირველი შედის ქვისმთლელი)*.

**სიუზანი** – *(მადლენს. ჯარისკაცებზე)* ამათ აქ რა უნდათ?

**ქერა** – წესრიგს იცავენ. ესენი რომ არ იყვნენ, რა გვეშველებოდა... *(ქვისმთლელი გამოვიდა. შედის მადლენი. ქვისმთლელს შემოესივნენ)*

**ხმები** – პური არის? რამდენი თავი დარჩა? ყველას ეყოფა? ბევრია? რამდენია?

**ქვისმთლელი** – არ დამითვლია, არ ვიცი *(ვადის. დაძაბულობა)*

**დიასახლისი** – ალბათ, ცოტაა... *(მოუთმენლობის ხმაური. ხალხი დაიძაბა)*

**მადლენი** – *(გამორბის. სიუზანს ჩურჩულით)* შვიდი ცალია დარჩა *(პირველ რიგებში ნათქვამი ეს სიტყვები, მალე რიგის ბოლოს მიაღწევს. ჩურჩულს ღრიალი ცვლის)*.

**ხმები** – შვიდი ცალი! შვიდი თავი! რა ხდება? ჩქარა, ჩქარა! ახლა ჩემი რიგია! დღეს მაინც მარგუნეთ პური! *(ვიდრე სიუზანი მიიბრუნს საფუნთუშის კარაძე, რიგი აირევა და კარს მიაწყდება)*

**მბეჭდავი** – *(გაშეშებულ საღდათებზე)* ამათ შეხედეთ... ლამის დავხოცოთ ერთმანეთი, ესენი კი გამოჭიმულან... *(ხალხი საღდათებს შემოეხვევა)*

**ხმები** – *(აღშფოთებული, მაგრამ კეთილგანწყობილი)* ეი, თქვენ, არ გესმით? რად გამოგზავნეს, დაგავიწყდათ? გაანძრით ხელი! თავში მხოლოდ გადატრიალება უტრიალებთ... ის მაინც გვითხარით, რა ვქნათ...

**I საღდათი** – რა უნდა ჰქნათ და დაიშალებო! აბა, შინისაკენ, შინისაკენ! მარშ! *(ხალხი დაიძაბა, მაგრამ შეტევას ვერ ვერ ბედავენ)*

**ხმები** – ვის უბედავთ! როგორ? უნდა გაგვერეკოთ! *(მბეჭდავი საღდათს მივარდება, მაგრამ მოულოდნელად ხიშტს წააწყდება)*.

გაკვირების ხმამაღალი შეტახილი. ხალხი უკან იხევს ხიშტიისავან. სიჩუმე ჩამოვდა. ორმხრივი მრისხანე პაუზა) ხალხზე ხიშტებით მოდიხართ? ინგლისელების ჯამუშები იქნებიან! როგორ ბედავთ! ეშმაკმა დალახვროს, შშია!

**I ქალი** – წართვით ეგ ხიშტები!

*(სიჩუმეა, შეიარაღებულმა ხალხმა არ იცის, რა მოიძოქმედოს)*

**ხეიბარი** – ჩამოანგრეთ კარი! (პაუზა წამსვე მოქმედებად იქცა. ხალხი კარისკენ გაიწევს. სალდათებსაც ეს უნდათ, მათ აღარ ერჩიან და დემონსტრაციულად ჩამოსწევენ თოფებს. ყვირილი ძლიერდება).

**ყველა** – ჩამოანგრეთ, ჩამოიღეთ ეგ კარი! უამრავი პური ექნება! ეგ ხომ სპეკულიანტია! *(სალდათები მაინც იცავენ საფუნთოშეს)*.

**ქალები** – *(მცვევდებიან სალდათებს)* მოშორდით, მოშორდით კარს! ჩვენც გვინდა პური! ყველას ან არავის! ჯერ ჩვენ გვერგება – ქალებს! *(ზედახორაა, სტვენა, ყვირილი, სიცილი. მოულოდნელად გამოჩნდება პარიზის სექციის ორი კომისარი. ხალხი გაშეშდა. სიჩუმეა)*.

**I კომისარი** – *(როცა უკვე შეიძლება ხმა ამოიღოს კაცმა. ეფექტურად ჩუმად)* რა ხდება აქ?

**ყველა** – *(აფეთქება)* პური... პური არ არის... უკვე სამი დღეა! ეგ სპეკულიანტია! კანონი ფეხებზე ჰკიდია! პარაზიტებო! ტყუის, არა მაქვსო. შვიდი ცალი აქვს!

**I კომისარი** – *(მეხვიით)* ჩუმად! ადამიანურად ილაპარაკეთ! *(სიჩუმე, მერე გაუგებარი წამოძახილები)*

**ხმები** – ისევ შვიდი თავი პური გამოაჩინა! ყოველდღე უკლებს! საფუნთოშეში შეგვიშვას! უფლება არა აქვს! საწყობები გატენილი აქვს... სპეკულიანტია! *(უფრო ხმამაღლა)* სპეკულიანტია! ინგლისელებმა დაიქირავეს! კარი ჩამოიღეთ! ჩამოიღეთ კარი!

**I კომისარი** – *(ხმაურს გადაფარავს)* ვინც კიდევ ერთხელ იტყვის, ჩამოიღეთო – დავაპატიმრებ! *(სიჩუმე. გაურკვეველი, უკმაყოფილო ბუზღუნნი)* თუ მხოლოდ შვიდი თავი აქვს, ესე იგი შვიდი კაცი მიიღებს. ვისი რიგია? *(ყველა ამბობს – ჩემიაო, იცინიან)*

**II კომისარი** – *(სალდათებს)* თქვენ რალას მიკეთებთ? ვერ გაინძრევით?

**II სალდათი** – რა ჩვენი ბრალაია, თუ შვიდი პური აქვს!

**მბეჭდავი** – ხალხო, მოდით, გავიყოთ...



**ხმები** – რაო? გავიყოთ? რა თქვა – გავიყოთ? მოდით, გავიყოთ! დაითვალეთ, რამდენი ვართ! დაითვალეთ? გავიყოთ! გავიყოთ! რაღა გვერგება, ქერქი? პური თუ არ მივიტანე, შინ არ შემისვებენ! მაქვს თუ არა უფლება, მთელი პური ვიყიდო! არავითარი „გაყოფა“!

**ინტელიგენტი** – მაშინ, არავის არ გვერგება.

**I კომისარი** – აბა, ცოცხლად, ცოცხლად! სამ-სამი დადებით, ცოცხლად! სამნი ერთ თავს გაიყოფთ! ჩვენ კი საფუნთოშუქს გამოვებერტყავთ *(სანამ ხალხი სამ-სამად მოეწყობა, ჯაშუში კომისრებს რაღაცას წაუჩურჩულებს)*

**II კომისარი** – *(იმ დროს, როცა მეფუნთოშუქს მბეჭდავს, სიუზანსა და ქერას შეუშვებს)* წავალ, შევამოწმებ, თუმცა არა მგონია. წესიერი კაცია *(კარისკენ მიდის. ჯაშუში შორიდან უთვალთვალებს. გამოდის მბეჭდავი)*.

**I კომისარი** – *(მბეჭდავს მხარზე ხელს დაადებს)* თქვენ დაპატიმრებული ხართ *(ქუჩაში სიჩუქე ჩამოვარდა. მბეჭდავი გაქვავდა – დუმილის წუთი)*

**მბეჭდავი** – რა... რატომ?

**I კომისარი** – *(ხალხს)* ხომ სთქვა, კონვენტი უნდა დავშალოთ!

**ხმები** – არა! რას ბრძანეთ! რაღაც ეგეთი სთქვა! არა, არა! „დავშალოთ“ – მთლად ასე არ უთქვამს, ნამეტანია“ „უნდა კი არა, „კარგი იქნებოდაო“... *(ვიღაც მკვეთრად)* არა, „დავშალოთ“ არ უთქვამს.

**I კომისარი** – მაშ რა თქვა?

**მბეჭდავი** – გავწმინდოთ მეთქი *(ხარხარმა იფეთქა, თუმცა იქვე თავი შეიკავეს. გამოდის სიუზანი, კარში ჩერდება – გაოცებული)*

**I კომისარი** – კარგი, კარგი! წაიღე შენი პური და პასპორტი დამიტოვე. კომიტეტში გამოვარკვევთ ყველაფერს *(ჯაშუშს ვაჰყავს მბეჭდავი. სიუზანს)* თქვენც მაჩვენეთ პასპორტი...

**სიუზანი** – მე? *(გაფითრდა)*

**I კომისარი** – დიახ, დიახ, თქვენ.

**სიუზანი** – *(შიშისაგან გავიჟდა)* მე ხომ არაფერი... რა დავაშავე? *(უცებ ისე აფვირდება, რომ ყველა ვაჩუქდა)* ღმერთო ჩემო! ესენი მომკლავენ!

**I კომისარი** – *(იჭვით)* ცოცხლად, მოქალაქე, პასპორტი! *(გამოართმევს პურს, რომელიც ხელს უშლის ტებანაში)*

**სიუზანი** – ჩემი პური!

- I კომისარი** – არ დაიკარგება... ვიდრე პასპორტს იპოვნი, ღავიჭერ...
- ინტელიგენტი** – რა დააშავა ამ პატარამ, კომისარო?
- I კომისარი** – ამბობენ, ძალიან ღელავდა, როიალისტი როცა ჩატარეს, თითქოს ამის საყვარელი ყოფილიყო.
- სიუზანი** – *(დამწვები მამალივით)* რაო?
- I კომისარი** – ან ნათესავი! *(ხალხი იცინის)*
- ხმები** – შეეცოდა ახალგაზრდა! ეგ ზომ ჯერ აზრზეც არ იქნება მოსული! გოგონასათვის ბიჭი ბიჭია, რაც უნდა მოხდეს!
- სიუზანი** – აი, ჩემი პასპორტი.
- ხმები** – მხოლოდ ისა სთქვა – ლამაზიაო!
- სიუზანი** – მერე, ამის გულისთვის სიკვდილი უნდა მომისაჯონ? *(მხიარულება მატულობს)*
- I კომისარი** – არ მოგიხჯიან, ნუ ღელავთ... თქვენც ზომ არ გვეუქრებით, გადატრიალებას მოვახდენო, ა? ვინმე იცნობს ამას? *(II კომისარი გამოდის საფუნთუშოდან)*
- ღიასახლისი** – *(საბოლოოდ გამხიარულებული)* გაუშვით, გაუშვით, თორემ უკვე გილიოტინაზე ჰკონია თავი!
- I კომისარი** – *(პასპორტს შეადარებს)* ასე... აბა, მოქალაქე, შინისკენ მოუსვი!
- სიუზანი** – *(ცხარე ცრემლებში იცინის)* გმადლობთ, მოქალაქე! *(ვარბის)*
- I კომისარი** – ეი! პური! პური დაგავიწყდათ! *(ხარხარი. სიუზანი დაბრუნდება, პურს აიღებს, ელაზღანდარებიან... II კომისარს)* აბა, მანდ რა ამბებია? იპოვეთ რაიმე?
- II კომისარი** – ნამცეციც არ არის. ვიცოდი, ეს კაცი სპეკულიანტობას რომ არ იკადრებდა.
- I კომისარი** – *(ცივად, მკვეთრად)* ე, კოლეგა, გაფრთხილდით, ასე ხმამაღლა ნუ უცხადებთ ნღობას ადამიანებს. ახლა ისეთი დროა, ფნიზლად უნდა ვიდგეთ სადარაჯოზე. ძალზე გვიჭირს ყველას. ხალხსაც კი...

## მეორე სცენა

- ინტელიგენტი** – *(სიუზანს წამოეწვება)* სიუზან ფურიო, ნება მომეცით, გაგაცილოთ.
- სიუზანი** – *(უნდოდ)* ნუ შესწუხდებით...

**ინტელიგენტი** – ვიცი, რომ ახლო ცხოვრობთ, მეთორმეტე სახლში, მაგრამ მოგეხსენებათ, *(იქით-აქით იხედება, ჩურჩულით)* ახლა ისეთი დროა... *(მათ გზას გადაულობავს აღვზნებული ბრბო)*

**ხმები** – რაო? ისეთი დროაო? მაინც რა დროა ისეთი! რას გულისხმობთ! ეს დამწყები ბოზი სად იშოვეთ? ისეთი დროაო? სად მიგყავთ ეგ „მოქალაქე“? ასეთი ახალგაზრდა და ქუჩაში გამოსველი? რამ გაიმულა?

**I მოქალაქე** – რამ აიძულა და შიმშილმა! უნდა ამოვყუყუოთ ისინი, ვინც ჩვენს ცოლებსა და შვილებს ყიდულობენ! აი, ვისკენ უნდა მიმართოს ხალხმა მახვილი! ხალხის შვილებს აბანებენ, ჩვენ კი გაგზუმებულვართ! თქვენ მუცელი გეწვით შიმშილისაგან, ისინი კი ღორმუცელობენ! თქვენ იდაყვები გამოგხევიათ, ისინი კი თბილ კამზოლებში ნებივრობენ! თქვენ ხელისგულები დაგებერებიათ, იმათ კი ხავერდის ხელები აქვთ! რას ნიშნავს ეს! ესე იგი, თქვენ შრომობთ, ისინი კი უსაქმურობენ; ესე იგი, თქვენ ლუკმაპურისთვის იტანჯებით, ისინი კი გქურდავენ. და თქვენზე მოწეული ჭირნახულიდან ერთი გროშის დაბრუნება რომ მოინდომოთ, უნდა იმათხოვროთ ან სული და სხეული გაჰყიდოთ. ესე იგი, ისინი პარაზიტები არიან და პარაზიტები კი უნდა ამოვყუყუოთ!

**II მოქალაქე** – იმათ სისხლიც კი არა აქვთ საკუთარი – ჩვენ ამოგვწოვეს! ჩვენ გვეუბნებოდნენ: დახოცეთ არისტოკრატები – ეგენი მგლებზე უარესები არიანო და ყოველ ხეზე ჩამოვკიდეთ; გვეუბნებოდნენ: პურს თქვენი არსობისა მეფე ხეთქავსო და მეფე მოვიშორეთ. ჩვენ გვეუბნებოდნენ: ჟირონდისტების გამო შიმშილობთო და მოვსპეთ ჟირონდისტები. მერე იმათ გამარცხვეს დამარცხებულები და გამდიდრდნენ. ჩვენ კი ისევ ფენშიშველნი დავრბივართ და ვიყინებით. მაგრამ ახლა ჩვენ გავადრობთ იმათ ტყავს და შარვლებს შევიკრავთ; ქონს ავქნით და წვნთანს გავიკეთებთ! ეშმაკმა დალაზვროს! ამოვხოცოთ ყველა, ვისაც იდაყვები ჩამოხეული არა აქვს!

**I მოქალაქე** – და ისინიც, ვინც წერა-კითხვა იცის!

**II მოქალაქე** – ისინიც, ვისაც საზღვრისაკენ უჭირავს თვალი!

**ყველა** – ამოვხოცოთ! ამოვხოცოთ! ამოვხოცოთ!

**ჯამში** – *(შეუმჩნევლად შემოუერთდა ბრბოს)* რაღა შორს მიდისართ, *(ინტელიგენტზე)* ვერა ხედავთ, ცხვირსახოცი ამოუჩრია!

**ყველა** – არისტოკრატს ღამიხედეთ! ჩამოვკიდოთ, ფარანზე ჩამოვკიდოთ! ფარანზე!

**I მოქალაქე** – რაო, ბიძია, ცხვირსახოცით იხოცავ ცხვირს?

**II მოქალაქე** – ფარანზე! ფარანზე! *(ჩამოუშვებენ ფარანს)*

**ინტელიგენტი** – ბატონებო! ბატონებო!

**I მოქალაქე** – გათავდა ბატონობა, მორჩა! ფარანზე, ფარანზე დაჰკიდეთ!

**სიუზანი** – *(შიშით კრიჭაშეკრული)* მოქალაქენო... მოქალაქენო...

**ბრბო მდერის** – მიწაში რა გინდა – ობია.

სამარის კარები ჩარაზე!

სიკვდილი ჰაერზე სჯობია!

ფარანზე! ფარანზე! ფარანზე!

**ინტელიგენტი** – რას სჩადით! გონს მოდით! მაპატიეთ! შემიცოდეთ! რას სჩადით?!

**II მოქალაქე** – ნუ გეშინია, ყულფში თავს გაყოფ და მორჩა! ჩვენ უფრო მოწყალენი ვართ: მთელი სიცოცხლე ვმუშაობთ და გვკლავენ; სამოცი წელია თოკზე ვკიდივართ და ფეხებს ვიქნევთ... მაგრამ ჩვენ მალე გადავჭრით ამ თოკს... აბა, დასწიეთ ფარანი! დაჰკიდეთ!

**ინტელიგენტი** – დამკიდეთ! დამკიდეთ! სულ ერთია, ამით სინათლე არ მოგემატებათ!

**ხმები** – ყოჩაღ! ბრავო!

**სიუზანი** – თუ შეიძლება, გაუშვით!

**ხმები** – გაუშვით! გაუშვით! *(მაგრამ უკვე გვიან არის. ინტელიგენტი ფარანზე ჰკიდია. სიუზანი კივის. ბრბო აღვ ზნებუღია და ახალი თავგადასავლისაკენ დაიძვრება)*

### **მკვეთრი ჩაბნელება**

### **მესამე სცენა**

*სადაღ მოწყობილი ოთახი. რობესპიერი მთიმინებით იცდის, ვიდრე დალაქი დაამთავრებს თავის საქმეს.*

**რობესპიერი** – ეს უკვე მეტისმეტია! გაფუებულ ბებერ ბაბუაწვერას დავემსგავსე!

**დალაქი** – ძალიან გახდით და მხოლოდ ამიტომ გეჩვენებათ ასე.

**რობესპიერი** – მერე ყველაფერი განა თქვენს ხელთ არ არის! მიხსენით ამ გაჭირვებიდან, თორემ ხომ დაწყდნენ სიცილით, ბაბუაწვერას ტრიბუნაზე რომ დაინახავენ.

**დალაქი** – ნუ დელავთ, მოქალაქე! სვალაც გეწვევით, გამოგიტყდებით, ასეთი მშვენიერი და ასეთი სშირი თმა ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია. მოგესხენებათ, ჩემი კლიენტების უმრავლესობა...

**რობესპიერი** – *(აწვევებინებს)* კლიენტებზე გამახსენდა: ამბობენ უზენაესი მმართველის თავისუფალმა თანამდებობამ ბევრს გაუტეხა ძილი ღამდამობით. ხომ არაფერი გაგიგიათ ამაზე?

**დალაქი** – *(დაიბნა)* ისეთ ზღაპრებს ჰყვებიან, რომ...

**რობესპიერი** – რაო, ვინ იქნებაო ის იღუპალებით მოცული პერსონა? ჩემზე ხომ არ ამბობენ?

**დალაქი** – ღმერთმა დაგიფაროთ! ეგლა გვაკლია...

**რობესპიერი** – აბა, ვის ასახელებენ?

**დალაქი** – ამბობენ... ვითომ... ვითომ... დანტონი.

**რობესპიერი** – *(უშუალოდ, მაგრამ მონოტონურად)* ეს ცნობები ვინ მოგაწოდათ?

**დალაქი** – მაპატიეთ, მოქალაქე, მაგრამ ... არ შემიძლია... არა... არ ვიცი.

**რობესპიერი** – *(უდარდელად)* კარგი, კარგი... *(შემოდის ელეონორა დიუპლე)* დილა მშვიდობისა, უნდა მომიტევეთ, დამჯდარი რომ გესალმებით... შემობრძანდით, გთხოვთ...

**ელეონორა** – უკვე აღექით? ნაადრევი ხომ არ არის?

**რობესპიერი** – ნაადრევი? ხომ არ დაგავიწყდათ, სუთი კვირაა, ბუმბულებში ვნებივრობ.

**ელეონორა** – მაგრამ იატაკი ისევ ქანაობს და მიწა ისევ გეცლებათ ფეხქვეშ, ხომ ასეა,

**რობესპიერი** – ცოტა.

**დალაქი** – *(სარკეს აწოდებს რობესპიერს)* ვიმედოვნებ, უკვე მზადა ხართ...

**რობესპიერი** – ო, გმადლობთ, არ მინდა სარკე, ვერ ჩავიხედავ. ასე მიჩვენია. სვალ დილით, როგორც ყოველთვის... *(დალაქი თავს დაუკრავს, ვადის. ადგება, ორივე ხელს გაუწვდის ელეონორას)* ნება მომეცი, მივესალმო ჩემს ავაზას! *(ელეონორა მშვიდად ადგება. ისინი ეზვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან, მაგრამ ეს ცოტაა ქალისათვის. ელეონორა ნელ-ნელა ეშვება მუხლებზე და ლოყით ეკვრება მეგობრის დაშვებულ ხელს. რობესპიერი კი*

დვას, მეორე ხელით ძლივს სწვდება, რომ დაეგრძნოს სკამს, თორემ წონასწორობას დაკარგავს. ქალი მუხლებზე ეხვევა. კაცი კი ოდნავ გადახრილი დიდებულო, მაგრამ ოდნავ უხერხულო პოზაშია; მარცხენა ხელით ვითომ ეწინააღმდეგება ქალს; მაგრამ როცა ელენორა მუხლებს ქვემოთ დაეშვება, შეკრთება, ღრმად ჩაისუნთქავს და ამჯერად სერიოზულად თხოვს) ოხ, ლეო... რას შვრები! (წამოაყენებს. ქალი რომ ეხება წამოდგომისას, კაცს ნერვიულად უთრთის მთელი ტანი).

**ელენორა** – (აკვირდება) მართლა გამოჯანსაღებულხარ. სამწუხაროა...

**რობესპიერი** – ელენორა!

**ელენორა** – ციება რომ გაცახცახებდა, მეშინოდა, მაგრამ... ჩემი იყავი... დღისითაც და ღამეც...

**რობესპიერი** – ჩემი ავაზა... ლეო... მიკვირს, ეს რომ მესმის... არ მეჯერება. რა სიმტკიცეა ხმაში, სიტყვებშიც!.. ეგოიზმის ზღვაა პირდაპირ!

**ელენორა** – ჩემო მეგობარო, სიყვარული მოწყალეა არ გახლავთ.

**რობესპიერი** – ... ბავშვები?

**ელენორა** – ბავშვები? ჩემო მეგობარო, რა თავში ვიხლი უსახურ ასლს, როცა თავად ორიგინალი ხელთა მაქვს? აშენოს ბუნებამ ბუდეები სხვაგან, დააგოს ქვეშაგებელი სხვა სხეულებში, რომლებიც ბედნიერებისათვის არ შეუქმნიათ.

**რობესპიერი** – ბედნიერება? მართალი ხარ. მაგრამ გაიხსენე – უკვე ორი წელი გავიდა. ო, როგორ მიყვარდი მაშინ. ახლა შენ ჩემთვის სულ სხვა ხარ.

**ელენორა** – ვიცი.

**რობესპიერი** – ლეო... რეკოლუცია მარადიულია... მე არასოდეს, გესმის, არასოდეს არ ვიქნები თავისუფალი.

**ელენორა** – მერე რა, ჩემო ერთადერთო? მიმატოვებ. ვიცი... მაგრამ მე... მე ყოველთვის, ყოველდღე გიხილავ კონვენტის შენობაში ან იაკობინელთა კლუბში.

**რობესპიერი** – ეს ხომ მონობაა, დამცირება... ჩემო პატარა, ვერც ბედნიერებას დაგპირდები და ვერც სიყვარულის სიხარულს.

**ელენორა** – რაც უნდა მოხდეს, შენი ვარ და ყველაფერი, რაც შენს გამო შემემთხვა, ჩემთვის პატივია და არა სირცხვილი.

**რობესპიერი** – შენს მაგივრად ვწითლდები სირცხვილისაგან.

**ელეონორა** – მაგას ნუ ამბობ! *(უცებ ხელს გამოსტაცებს და ჰკოცნის. რობესპიერი თავზე მოხვევს ხელებს და ტუჩებში ჰკოცნის რაღაც სვედიანი სიხარბით).*

**რობესპიერი** – *(ღრმა გულახდილობით)* ასეა, ჩემო კარგო. ვწუხვარ შენს მაგივრად, მაგრამ ვგრძნობ, რა მშვენიერი ხარ... ორი კვირის შემდეგ შენ ისევ შორეული მოგონებალა იქნები.

**ელეონორა** – მაგრამ ეს ორი კვირა? მაქსიმ, ხომ მაჩუქე ეს დღეები? ხომ დამპირდი?

**რობესპიერი** – ორი კვირა... ლალი, თავისუფალი ადამიანი რომ ვიყო... ორჯერ შვიდი დღე... ო. ღმერთო, ღმერთო, ამაზე ოცნებაც კი არ შემიძლია... ოთხი დღე კი უნდა გამოვიდეს. ოთხი დღე! პატიოსან სიტყვას გაძღვე!

**ელეონორა** – დეპეშა კომიტეტიდან, *(რობესპიერი მოუთმენლად ხვს კონვერტს. შეწუხებული, გაუბედავი)* მაქსიმ...

**რობესპიერი** – ჩუ, ჩუმაღ, მოიცა... *(მუსიკალური სტვენით ჩაათავებს მთელ ქრომატულ გამას)* გათავდა ჩემი შვებულება, ლეო, ნახევარ საათში კონვენტში უნდა ვიყო. ძალიან გთხოვ... ჭიქა ყავას... პურიც თუ გვაქვს, კარგია.

**ელეონორა** – ახლავე! *(რობესპიერი ღიმილით ვააცილებს ქალს. ვაისძის რიტმული კაკუნით. რობესპიერი მონოსილაბური რიტმით პასუხობს. შემოდის სენ-ჟიუსტი)*

**სენ-ჟიუსტი** – ენდელის ჩვენება მოგიტანეს?

**რობესპიერი** – *(უჩვენებს)* ეს წუთია.

**სენ-ჟიუსტი** – ხომ ხედავ, მართალი ვყოფილვარ.

**რობესპიერი** – სამიში არაფერია. ეს მხოლოდ და მხოლოდ ებერტისტების საქმეა.

**სენ-ჟიუსტი** – მხოლოდ და მხოლოდ?

**რობესპიერი** – დიახ, მხოლოდ და მხოლოდ. ვენსანი უნდა დავაპატიმროთ და მორჩა!

**სენ-ჟიუსტი** – მაქსიმ, რა დაგემართა? რატომ გაგიჩნდა ეს საეჭვო მიდრეკილება ნახევარზომებისადმი? ნახევარ კი არა, მეოთხედზომებისადმი!

**რობესპიერი** – შეილო ჩემო, ჩვენ სახიფათო მოსახვევთან ვდგევართ. ტერორი არ არის ჩვენი საქმე!

**სენ-ჟიუსტი** – მაგრამ თუ თავდაცვის სხვა ღონე აღარ არის?

**რობესპიერი** – თუ მართლაც აღარ არის, მაშინ... ძნელია რაიმე საწინააღმდეგო აზრი დაგებალოს. ვენსანი სამიში არ არის,

მაგრამ ხალხისთვის – ავტორიტეტია. ეს მხედველობაში უნდა მივიღოთ, თორემ... დიდი შანსი გაგვიჩნდება, ჩვენ თვითონვე გადაუჭრათ ფესვები რევოლუციას. შესაძლოა, ხალხმა რწმენა დაკარგოს (*ელეონორას შემოაქვს ყავა. მეგობრულად ესაღმება სენ-ჟიუსტის*) გმადლობთ, ჩემო კარგო. ეს რა არი? ნამდვილი ყავა? ო, დალოცვილ იყავ, ღმერთთა რჩეულო! (*სენ-ჟიუსტის*) ანტუან, შაქარი და პური, რასაკვირველია, არა გვაქვს. იმედია, არ დაგვზრახავ და მცირედით დაკმაყოფილდები.

**სენ-ჟიუსტი** – გმადლობთ. მთელი ღამე არ მეძინა, საშინლად დავიტანჯე. (*ელეონორა გადის*)

**რობესპიერი** – აი, ასე, სენ-ჟიუსტ, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში რესპუბლიკის კეთილდღეობა ასეთ სასტიკ ზომებს არ მოითხოვს.

**სენ-ჟიუსტი** – დემულენმა თავისი გაზეთის მორიგი ნომერი გამოაცხო. მხედველობაში მიიღე, ეს უკვე მეშვიდეა. ამ გაზეთში დაუფარავად, აშკარად, გთხოვ, ესეც მიიღო მხედველობაში, მოუწოდებს საფრანგეთსა და მთელ ხალხს, იაკობინელთა წინააღმდეგ აჯანყდნენ.

**რობესპიერი** – დემულენი? ამას მარტო ვერ გაბედავდა. ვინ უღვას მხარში?

**სენ-ჟიუსტი** – არ ასახელებენ, მაგრამ როგორც ჩანს...

**რობესპიერი** – ეშმაკმა დალახვროს! საითაც გაიხედავ, ყველგან ეს ხროვა! გაგიჟდა ეგ კაცი, ყველას პირზე „დანტონი“ აკერია! ყველგან „დანტონი“, „დანტონი“! საკუთარი ტყავის გადასარჩენად სახელმწიფოს დალუპვასაც არ ერიდება.

**სენ-ჟიუსტი** – მაქსიმ, ჩვენ დიდ სიკეთეს ვუზამთ საფრანგეთს, ვენსანს დანტონსაც თუ მივაყოლებთ. ერთად, ერთბაშად... საიქიოში...

**რობესპიერი** – დანტონი ხელშეუხებია, სენ-ჟიუსტი!!

**სენ-ჟიუსტი** – ხელშეუხები? დანტონზე ამბობ? ეგ ის არ არის, პარიზს შიმშილი და ჭირი რომ შემოუსია და თვითონ კი გამდიდრდა, ღმერთმა უწყის, რა გზით? თუ სამართალია, მხოლოდ ამისათვის უნდა დაისაჯოს!

**რობესპიერი** – სამართალი? დანტონი ხელშეუხებია, სენ-ჟიუსტ! იმიტომ, რომ ათი აკვისტოს კაცია. შესაძლოა, შემთხვევის წყალობით, მაგრამ დანტონი და მხოლოდ დანტონი იქცა იმ დღის სიმბოლოდ. იმ დღეს მონარქია დავამხეთ. დანტონის მოკვდინება



შეუძლებელია. ამას კატასტროფა მოყვება. რესპუბლიკის ღრმა კრიზისიც... ბედის წყალობაა, რომ დანტონი, სადმე საქმეზე როცა მიდგება, საშიში სულაც არ არის.

**სენ-ჟიუსტი** – რას ამბობ!

**რობესპიერი** – დანტონი საშიში კაცი არ არის. გონებრივად დანტონი უღრის ნულს; საშიში ის უზნეო იდეაა, რომელიც მის მაცდუნებელ სიტყვებშია.

**სენ-ჟიუსტი** – ესე იგი დემულენია, რაც არის?

**რობესპიერი** – დიას, დემულენი. მან მოუტანა დანტონის აზრებიც და იდეებიც. იმ ცინგლიანმა, ღმერთო დიდებულო! იმ ტალანტით საკვსე ცინგლიანმა!

**სენ-ჟიუსტი** – კამილ დემულენი – თქვენის ნებართვით, და შესაძლოა, უამისოდაც, ემაფოტზე წავა.

**რობესპიერი** – რატომ? უფრო იოლი გზებიც არსებობს.

**სენ-ჟიუსტი** – რას გულისხმობ?

**რობესპიერი** – მთავარია, დემულენის ხახა დავეხშოთ, ხომ მართალია? შენც დააპატიმრებინე მისი გამომცემელი – ღესენი, მეშვიდე ნომერი აღარ გამოვა. ამავე დროს ებერტისტების სასამართლოც შესდგება და თუ დანტონი არც მაშინ მოეგება გონს, ესე იგი, გიჟი ყოფილა. ღვთის გულისათვის, ანტუან, ნუ გადავაქცევთ პარიზს კაზემატად, სადაც მოწაფეებს როზგავენ. მომაწოდე, თუ შეიძლება, სერთუკი, გეთაყვა.

**სენ-ჟიუსტი** – *(აწოდებს)* გაციებს?

**რობესპიერი** – არა უშავს, გამივლის.

**სენ-ჟიუსტი** – გაგივლის! რა გაეწეობა, გული მიგრძნობს, მარტოს მომიწევს ამ საქმის მოხრჩობა.

**რობესპიერი** – ნუ ჩქარობ. მე უკვე ფეხზე ვარ და დღეიდან თქვენთან ვიქნები. ოთხი, მხოლოდ ოთხი დღე.

**სენ-ჟიუსტი** – რას ამბობ? ხომ არ გაბოდებს.

**რობესპიერი** – *(ხარხარებს. ეს სიცილი სულ არ ამშვიდებს სენ-ჟიუსტის)* არა, ჩემო კარგო, არა! ასე საღად დიდი ხანია თავი არ მიგრძენია!

**სენ-ჟიუსტი** – ღმერთმა გისმინოს!

## მეოთხე სცენა

დანტონის მდიდრულად მორთული ბინა. დანტონი ბოლოთასა სცემს.

**ვესტერმანი** – (დაუკაკუნებლად შემოდის, რაღაცით თავზარდაცემული, მოუწესელი) საღამო მშვიდობისა! (საგარეოში ჩაეშვება, მაგრამ დაინახავს თუ არა მაგიდაზე გრაფინს, წამოხტება).

**დანტონი** – რა მოხდა?

**ვესტერმანი** – (დაისხა) როგორ? ჯერ არ გაგიგია? (სვამს) ისევ გეძინა, არა, როგორც ათ აგვისტოს?

**დანტონი** – მეტყვი თუ არა?

**ვესტერმანი** – ჩავფლავდით... ფუი, ეს ღვინოა?!

**დანტონი** – როგორ თუ ჩავფლავდით?!

**ვესტერმანი** – როგორ და კომიტეტი ყველაფერს მიგვიხვდა... დასანანი... ჩვენ უკვე მოვასწართ, სამი სექცია აგვეყოლიებინა... მაგრამ... რას იზამ...

**დანტონი** – რა მოხდა, მეტყვი თუ არა, ბოლოს და ბოლოს!

**ვესტერმანი** – ამ წყალწყალა ღვინოზე მაგარი არაფერი გაქვს? ერთი საათის წინ, მგონი, თხუთმეტი კაცი დააპატიმრეს: ვენსანი, რონსენი, ებერი და კიდევ ვიღაცები... (დანტონი კარადიდან სხვა გრაფინს გამოიღებს და აწოდებს) აი, ეს სულ სხვა საქმეა... (დაისხამს, დაღვეს) ღღეს რობესპიერი დაბრუნდა. აი, ამ წუთებშიც კონვენტის სხდომა.

**დანტონი** – ეგენი რევოლუციურ არმიას დაშლიან.

**ვესტერმანი** – რა იცი? თუმცა, ყველას ეს აკერია პირზე.

**დანტონი** – იცი, ვესტერმან, სასწაულია, შენ რომ ჯერ ისევ თავისუფლების ჰაერსა სუნთქავ. სასწაულია, სასწაული, ოღონდ საეჭვო! აჰა! როგორ ვერ მივხვდი: ეს ხომ დღესავით ნათელია: ისინი ვერ ბედავენ ჩემი მეგობრის დატუსაღებას!

**ვესტერმანი** – ან არ იციან, შენი მეგობარი რომ ვარ! დანტონ... ნუთუ ვერ ხვდები, ვენსანის ჩავარდნა ღვთის წყალობაა ჩვენთვის? აბა დაფიქრდი: მთელი პარიზი აჯანყებით დატენილ ღვთის კასრსა ჰგავს. კონვენტმა ვენსანი დააპატიმრა და უსწარიათ, ყველაფერი მოგვარდაო. მე ხომ თავისუფალი ვარ. მაგათ გამოჩნათ, რომ მეც შემძღვია იმ ღვთის კასრს ზონარზე ცეცხლი წავუკიდო... იცი, რა უნდა ვქნათ? ახლავე, ამ ღამითვე აჯანყების ნაღარა უნდა დავცეთ. მოულოდნელი, უეცარი აჯანყებულა თუ გვიშველის. გარწმუნებ, წინააღმდეგობას

ვერ გაბედავენ. გონზე მოსვლას არ ღაგაცდი, ამის დროს არ მივცემ. ისე გამოგიშინებ იმ ძილისგულა სექციებს, აზრზეც ვერ მოვლენ. ციხიდან მთელს კონტრევოლუციას გამოვუშვებ და აქ ამბავი ატყდება, ჯერაც რომ არავინ მოსწრებია. ბრბომ თუ აიწყვიტა, საუკუნოდ გადაუვლის მაგათ ყველა კომიტეტსაც და ტუზებსაც. ხვალ დილით კი, სისხამ დილით, მთელი პარიზი გეახლება და მუხლმოდრეკილი შეგევედრება, გაილე მოწყალება, ძალაუფლება ჩაიბარეო. ძალიან ნუ გაჭირვეულები, მიეცი საშუალება დაგითანხმონ, მაგრამ გახსოვდეს, ამ არეულობის დაშოშმინებას ხუთი დღე მაინც დასჭირდება. სწორედ ეს ხუთი დღე დასჭირდება ინგლისელ იორკს – პარიზს გარს შემოერტყას. დანტონი, გეფიცები, ამას შევძლებთ! ასეთი შანსი კი მხოლოდ ერთხელ ეძლევა ადამიანს.

**დანტონი** – ინგლისელებს ვუხმო?! საუკუნო მტერი შემოვუშვა საფრანგეთის გულში?! შენ იუდა ხარ, ვესტერმან!

**ვესტერმანი** – დანტონ... დაგავიწყდა, ერთი კვირის წინ, თვითონ ამბობდი, ინგლისელების მეტი ვერავინ გვიშველისო.

**დანტონი** – რა სულელი ხარ! ერთი კვირის წინ ამით საფრანგეთი უნდა გადამერჩინა. დღეს კი... სულ სხვა საქმეა და მოვრჩეთ, მე ყველაფერი გითხარი, რაც სათქმელია.

**ვესტერმანი** – რასაკვირველია, ვიცი, როცა საქმე პოლიტიკას ეხება, მე გაჭენებული იდიოტი ვარ, შენ კი ბრძენთა ბრძენი, მაგრამ...

**დანტონი** – რა, მაგრამ?

**ვესტერმანი** – რა და ასეთ ვითარებაში რას არ გაიფიქრებს კაცი. მაგალითად, შესძლოა, ვინმემ გაიხსენოს, რომ შენ და მხოლოდ შენ იბრძოდი სამეფო სასამართლოს ადვოკატის თანამდებობისათვის... რა უნდა იყოს ამაზე საშიში მათთვის. ეს თუ გაიხსენეს, გათავებულია შენი საქმე...

**დანტონი** – რაებს როშავ... ამას ვინ გამიკეთებს?

**ვესტერმანი** – როგორ თუ ვინ? კომიტეტი! რობესპიერი გამოჯანმრთელდა და დაბრუნდა, დანტონ!

**დანტონი** – ეგ სასაცილო კომიტეტი რაიმეს გამიბედავს?! ან რობესპიერი? ცივისსხლიანი ქადავი!

**ვესტერმანი** – ასე თუა... მაგრამ შენ, ჭკუის კოლოფო...

**დანტონი** – *(აწყვეტილებს)* ვესტერმან, მთელ შენს გონებას მოუხმე ერთ წამს: ჩემთან მთელი პარიზია. მე ათი აგვისტოს კაცი ვარ.

ხა! ხა! ერთი გაბედოს რობესპიერმა და დედაქალაქის ხალხი ამომხედროს! ვესტერმან, მე პირადად შენთვის გამოვიგონე თილისმა, რომლის წინააღმდეგ რობესპიერის სისხლნაკლული ყველა ფანდი ძალას და აზრს კარგავს. შენ იცი, ეს „ძველი კორდელიერია“. ამ გაზეთშია გონებრივი ცენტრი საფრანგეთისა. ამის მეშვეობით არცთუ ისე ურიგოდ ვუჭუშავენ ფრანგებს ტვინს. ამ გაზეთის მეშვეობითვე მე უფრო მეტი გავლენა მაქვს ხალხზე, ვიდრე იმ მორალისტს. უკვე რამდენიმე მილიონი ადამიანი საფრანგეთში ისე აზროვნებს, როგორც მე; და ის უნდათ, რაც მე მსურს: ეს იმიტომ, რომ ის რამდენიმე მილიონი ადამიანი გაზეთ „ძველ კორდელიერს“ კითხულობს.

**დემულენი** – *(შემოფრინდება აღელვებული. ხმა უკანკალებს)* ეს მე ვარ, კამილ დემულენი, ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

**დანტონი** – არა! ხომ იცი, შენი ნახვა ყოველთვის მიხარია. აჰა, დალიე. ისევ დაშავე რამე?

**დემულენი** – დესენი დააპატიმრეს, ჟორჟ!

**დანტონი** – *(წამის შეძღვევ)* რას ბოდავ, ბავშვო!

**ვესტერმანი** – ესე იგი, „ძველი კორდელიერი“ დაგვემშვიდობა, უზენაეს ადვოკატთან ერთად.

**დემულენი** – ის დაწყევლილი მეშიდღე ნომერი დესენსა აქვს. კომიტეტმა რომ წაიკითხო – გათავდა, დავიღუპე! ო, ჟორჟ, ჟორჟ, რას მერჩოდი, ასეთ საზარელ რამეებს რად მაწერინებდი!

**დანტონი** – იმიტომ, რომ ვაჟკაცი მეგონე! შენ კი, ხედავ, რა დაგემართა?! კეთილი, ახლავე გაიქეცი, მუხლებში ჩაუვარდი რობესპიერს და აღიარე, დანტონი სიკვდილის შიშით მაიძულებდა-თქო...

**დემულენი** – ჟორჟ, ნუ დამცინი. ხომ იცი, კუბოს კარამდე შენი ერთგული ვარ. და რობესპიერს, ვიდრე ვსუნთქავ, ხელს არ გაუწვდი.

**ვესტერმანი** – დანტონ! უკვე ვითხარი: პოლიტიკაში ვირი ვარ-მეთქი, მაგრამ ის დრო რომ დადგა, კომიტეტებს ბოლო მოეღოს, ამას უკანასკნელი ბრიყვიც კი მიხვდება. რაო, არ იცნობ რობესპიერს თუ რაშია საქმე? აბა, წავედი სექციაში!

**დემულენი** – სადა?

**დანტონი** – არა, ეგ გემა ბაღლობაა, სხვა არაფერი; წარმატების ერთი ბეწო შანსიც კი არ არის. მაგით, იცი, რას მივალწევთ: ამოხეზულებად ჩაგვთვლიან და კანონს გარეშე გამოგვაცხადებენ.

**ვესტერმანი** – დანტონ, კაცი ასეთ შესაძლებლობას ხელიდან უშვებდეს...

**დანტონი** – *(აწყვეტინებს)* მორჩი, მაინც რა მოხდა ისეთი საშინელი? დესენი დააპატიმრეს. ზვალ ან ზეგ გამოუშვებენ და ამით დამთავრდება ყველაფერი. შენ კი, კამილ დემულენი, ახალ გაზეთს გამოუშვებ ახალ გამომცემელთან.

**დელაკრუა** – *(შემოდის)* ოღონდ ნუ იყვირებ, მეგობარო! ა, ა, ა, ა, უკვე გაიგე? მით უკეთესი. ამიერიდან, ღვთის გულისათვის, ფრთხილად იყავით! განსაკუთრებით, შენ, პოეტო! შენთვის კი, დანტონ, მშვენიერი ფრინველი მოვიყვანე. კაცი კი არა ფასკუნჯია! თუ ღაჭერ, იცოდე, უძვირფასესი იარაღი გექნება კონვენტის წინააღმდეგ. ფანატიკოსია! სიწმინდეს ასხივებს სანთელივით და ნაკლსაც ვერ უპოვნი, ვერც ერთბეწო ლაქას... არც მაქინაციებშია შემჩნეული, არც თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, არც – სპეკულაციაში. ერთი სიტყვით – წმინდანია. საცაა ბურღონი შემოიყვანს *(შემოდიან ბურღონი და ფილიპო)* უკვე ვიტრაბახე, ჩვენსკენ გადმოვიდნენ-მეთქი!

**ფილიპო** – *(ცივად)* ჯერჯერობით ამას ჩემზე ვერ იტყოდით.

**დანტონი** – *(სტუმარს ხელს უწკდის. გულიანად)* მართლაც და რატომ არ გადმოხვალ ჩვენ მხარეს?

**ფილიპო** – *(ჩუმად და ცივად)* თქვენი მიზანი არ ვიცი.

**დანტონი** – ჩვენ გვინდა, კომიტეტების უკანონო დიქტატურა დავაშოთ.

**ფილიპო** – ანუ?

**დემულენი** – გვინდა ბოლო მოვუღოთ ჩვენს წინააღმდეგ უსასრულო გამოხლომებს და აღკვეთოთ რობესპიერის ჯგუფის ყოვლისშემძლეობა.

**ფილიპო** – *(სერიოზულად)* მჯერა, ამას საჯაროდ აცხადებთ. მაგრამ მე უნდა დავრწმუნდე თქვენი განზრახვის სინაღლში.

**დანტონი** – თავად რა მიზნები გაქვთ?

**ფილიპო** – მეც ვფიქრობ, რომ საჭიროა საზოგადოების ხსნის კომიტეტის გაკეთილშობილება. დესენის დაპატიმრებით, რითაც დაარღვიეს სიტყვისა და ბეჭდვის ხელშეუხებლობა, მაგ კომიტეტმა გადალახა დაკისრებულ უფლებათა საზღვრები.

**ვესტერმანი** – თუ საიდუმლო არ არის, როგორ აპირებთ კომიტეტის გაკეთილშობილებას?

**ფილიპო** – კომიტეტი სახელმწიფოს გულად იქცა: აქედან

გამომდინარე, ხელშეუხებელია. მაგრამ იგი უნდა დაუბრუნდეს თავდაპირველ კანონიერ ფუნქციებს.

**ვესტერმანი** – მართალი ბრძანდებით, მაგრამ როგორ უნდა მოვახერხოთ ეს?

**ფილიპო** – უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლოა, შეიარაღებული გუნდები – პარიზის მებრძოლი სექციებიც-ავამოქმედოთ; თუ, რასაკვირველია, დავრწმუნდებით, რომ ჩვენი ერთგულნი არიან და მორალურ გარანტიას მოგვცემენ – მთავრობის პრესტიჟს არ შევბღალავთო.

**ვესტერმანი** – ზუსტად ეგეთი გეგმა შეეთავაზე დანტონს, თითქოს ჩემი სიტყვები გაიმეორეთ. თანაც ზოგიერთი კოზირიც ხელთა მაქვს: ვისენმა მოასწრო დაემუშავებინა რამდენიმე სექცია ამ მიზნის განსახორციელებლად. ახლა საკმარისია დაიხარო და აიღო, რაც დევს და გელის.

**დემულენი** – ხელსაყრელი შემთხვევაა! საჭიროა დაუყოვნებლივ, ახლავე...

**ფილიპო** – გენერალო, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი ამ შემთხვევაში არ არიან მორალურად მომზადებულნი. ამ დროს შეიძლება გადატრიალებამდე მივიდეს საქმე.

**დელაკრუა** – სრულებითაც არა! მებრძოლი გუნდების საქციელზე მათი წინამძღოლები აგებენ პასუხს. ეს იმას ნიშნავს, რომ ... შეიძლება შეშინდნენ...

**ფილიპო** – *(დანტონს ვესტერმანზე)* შეიძლება ამას ვანდოთ... ეს საქმე?

**დელაკრუა** – მგონი, რაღაცის შესაძლებლობა გვეძლევა! მეტი გაბედულებაა ახლა საჭირო.

**ბურდონი** – *(ჩუმად)* დრო კი... არ იცდის...

**დემულენი** – ახლავე უნდა ვიმოქმედოთ! დღესვე!

**ფილიპო** – *(ღრმა რწმენით)* მართალი ბრძანდებით.

**ვესტერმანი** – აი, ხომ დარწმუნდით! დანტონს კი არ უნდა! *(ყველას უკვირს)*

**დემულენი** – ჟორჟ!

**დანტონი** – მე უკვე მოგახსენეთ: არა! *(წუთიერი პაუზა)*

**ფილიპო** – გეშინიათ?

**დანტონი** – *(აფეთქდა)* რა სოქვით?

**ფილიპო** – გეშინიათ! გეშინიათ! *(დანტონი ეცემს ფილიპოს. ფილიპო უმძობრაოდ უცდის. გააშეულებენ)*

**დანტონი** – თქვენ, ფილიპო, დიდი მეცნიერი ბრძანდებით, მაგრამ მასებთან საქმე არა გქონიათ. ესე იგი, არ იცით, რომ აჯანყების ხელმძღვანელობა უკიდურესად ძნელი საქმეა. ტუილრიში გაგზავნილი მებრძოლი გუნდები იმ ფაციფუცში დაამხოვნენ კონვენტსაც და, კომიტეტები რალა სასხენებელია, ზედ მიაყოლებდნენ მთელ ხელისუფლებას. მე კი ყოველივე ამისათვის შორიდან უნდა მეცქიროა, რადგან ველარაფერს ვილონებდი.

**ფილიპო** – კი მაგრამ, პარიზის სექციების დისციპლინა და სამოქალაქო შეგნება ყველასთვის ცნობილია. თქვენ მათ ცილს სწამებთ!

**დანტონი** – *(რბილად)* არა: მე მათ კარგად ვიცნობ! ერთი სიტყვით, მეგობრებო, უარს ვამბობ ფილიპოს მიერ წინასწარ განჭვრეტილ და შემოთავაზებულ სახელმწიფო გადატრიალებაზე. სხვა გზაც არსებობს. მთელი ჩვენი ძალები პარლამენტური შეტევისათვის! ხსნის კომიტეტის ხელყოფა დაუშვებელია, ამაში მართალია ფილიპო... მაგრამ... ჯერჯერობით! ამიტომ, ნუ დავესხმებით თავს მას აშკარად... ეს უნდა გაკეთდეს ფარულად, საყოველთაო უშიშროების კომიტეტის მეშვეობით. ამ კომიტეტის მეთაური ერონი უნდა დააპატიმრებინო ხვალვე როგორმე, ბურღონ! ო, მეგობრებო, ძვირად დაუფდებით იაკობინელებს ჩვენთან ქიშპობა. ხალხი ჩვენს მხარეზეა, რადგან სწამს, რომ თავისუფლების უკანასკნელი დამცველი მხოლოდ ჩვენა ვართ! მეტი შემართება და გამბედაობა გვჭირდება, ძმებო! როგორც კი კონვენტი გონს მოეგება და იაკობინელი თვითმარქვია ზროვის სამარცხვინო უღელს გადააგდებს – რესპუბლიკის ზეიმიც მაშინვე დაიწყება. მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება, ისევ ჩრდილს შეეფვართო და განვაგრძოთ ჩვენი ჩუმი არსებობა. და იცით, რა იქნება ჩვენი ერთადერთი, მაგრამ უტკბილესი ჯილდო იმ საყოველთაო, უდიდესი ბედნიერების უნაპირო ოკეანეში: სიმშვიდე და სიჩუმი! მხოლოდ სიჩუმი და სიმშვიდე!

**ფილიპო** – *(ხელს უწვდის დანტონს)* ეტყობა, რაღაც შემეშალა...

**დანტონი** – *(მაგრად ართმევს ხელს)* ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, ფილიპო; თქვენ მამაცი ადამიანი ბრძანდებით. მოხარული ვარ, რომ ასეთი მეგობარი შევიძინეთ *(კარაძლე მიაცილებს ფილიპოს შეძვევ ვაკვლენ დემუილენი, დელაკრუა და ბოლოს ბურღონი)*

**დელაკრუა** – *(გასვლისას, ჩუმად)* ოი, რაღაც არ მომწონს ეს ჩვენი უზენაესი!

**ბურღონი** – მოეშვი. მაგან ჩვენზე კარგად იცის, რაც სჭირდება.

**ვესტერმან** – ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტე?

**დანტონი** – არა; ვესტერმან, ყური დამიგდე: არ შეიძლება რევოლუციური არმიის გონიერი ოფიცრობიდან ვინმე დავიყოლიოთ? ჯარს, ვფიქრობ, დაითხოვენ. ეცადე, მათგან უხმაუროდ შეკრიბო რამდენიმე ასეული – ჩვენი ერთგული ხალხი...

**ვესტერმანი** – აი, ეს მესმის! ესე იგი, უარს არ ამბობ?

**დანტონი** – დიქტატურაზე? როგორ გეკადრება! ყელში ამომივიდა ეგ დიქტატურა! მომბეზრდა. გამოგიტყდები, მოსაწყენი საქმეა. მაგრამ ერთ-ორი ერთგული კაცი, შეიარაღებული, თანაც მხარში ამომდგარი, ყოველი შემთხვევისათვის, რასაკვირველია, არ გვაწყენს...

## მეხუთე სცენა

*საზოგადოების ხსნის კომიტეტის სხდომათა დარბაზი. თავმჯდომარეობს კოლო.*

**კოლო** – გისმენთ!

**ბიო** – *(ლაპარაკობს თითქოს უდარდელოდ, დასცქერის თავის ხელს, რომლითაც კალამს ათამაშებს მაგიდაზე)* მეგობრებო, მესამე თვეა, ცნობილი დაჯგუფება, სისტემატურად, დაუფარავად ცდილობს დაამხოს რევოლუციური ხელისუფლება საფრანგეთში. ამ ბოლო დროს განშირებული და გამძვინვარებული გამოხდომები ამ დაჯგუფებისა არყვეს ჩვენს ავტორიტეტს. თქვენთვის ცნობილია, რომ დესენს უპოვნეს გაზეთის ნომერი, რომელიც ჩვენი ხელისუფლების ყოველგვარ წამოწყებას გააქარწყლებდა. დროა, ამას ბოლო მოეღოს! *(პაუზა. უეცრად შეაჩერებს ხელის თამაშს)* მეგობრებო! მე ბრალს ვდებ დანტონს და მის ფრაქციას იმაში, რომ სწორედ ისინი გახდნენ კონტრარევოლუციური სტიქიის ცენტრი მთელს საფრანგეთში. ჩვენი ვალია, უვნებელგყოთ ისინი.

**რობესპიერი** – რაო? შენ გინდა რევოლუციას გამოჩენილი მოღვაწენი ჩამოაცილო?

**ლენდე** – ეს ხომ უაზრობაა!



**კოლო** – დანტონი რა მოღვაწეა? რა იმოღვაწა  
იაკობინელებისათვის?

**ბარერი** – ბიო თუ მიუში, საზღვარი აღარ იცის...

**კარნო** – ყველაზე ხელსაყრელი დროა, მაგათ მოსასპობად.

**ბიო** – მეგობრებო! რობესპიერი! შენგან გამკვირვებია, დანტონია  
რევოლუციური მოღვაწე? ხომ არაფერი გეშლება? ციებამ ისევ  
ხომ არ შემოგიტია?

**რობესპიერი** – მეგობრებო! ვინ შექმნა რევოლუციური ცენტრი  
კორდელიერების კლუბში ოთხმოცდაათ და ოთხმოცდათერთმეტ  
წლებში? დანტონმა. ვინ შეაჩერა დედაქალაქიდან გაქცეული  
პანიკასაყოლილი მთავრობა იმ დღეს, როცა ლიონი დაეცა? ჩვენ  
ხომ არა?

**ბიო** – სწორია, მაგრამ ვინ აქცია პარიზი სექტემბრის სასაკლაოდ.  
ჩვენ ხომ არა?

**კოლო** – ვინ გაფლანგა მილიონი. საგარეო საქმეთა მინისტრის  
სავარძელში ჩათბუნებულმა? ჩვენ ხომ არა?

**კარნო** – მტრებთან ორაზროვან მოლაპარაკებას ვინ  
ხელმძღვანელობდა? ჩვენ ხომ არა?

**სენ-ჟიუსტ** – ვის ესიზმრება, ბოლოს და ბოლოს, ყოველდღე,  
რობესპიერი რევოლუციას ძვლებიანად რომ ხრავს? ჩვენ ხომ  
არა?

**ბიო** – რას იტყვი, რობესპიერი, გაგიარა ციებ-ცხელებამ? გაქრა  
მირაჟი?

**რობესპიერი** – არცერთ ამ თქვენს ჯოჯოხეთურ ბრალდებას  
სერიოზული იურიდიული საფუძველი არ გააჩნია. ვერცერთს  
ვერ დაამტკიცებთ.

**ბიო** – ადვოკატური ხრიკებია, რობესპიერი!

**კარნო** – ყოველი ბრალდება – უტყუარი ფაქტია.

**კოლო** – ოხ, ფაქტზე გამახსენდა (*ზარს რეკს. შემოდის შიკრიკი*)  
სთხოვეთ, შემოვიდეს ამარი, საყოველთაო უშიშროების  
კომიტეტიდან.

**რობესპიერი** – მეგობრებო, რაც უნდა მოხდეს, არ დავთანხმდები,  
დანტონი ტრიბუნალს გადასცეთ.

**ბიო** – რობესპიერი, ხომ არ გეშინია?

**რობესპიერი** – მეგობრებო: დანტონი მხოლოდ პიროვნებაა,  
მეტი არაფერი, რევოლუცია – ეს ჩვენ ვართ. იმის მაგივრად,

ერთმანეთს ვგლეჯდეთ, მტრების გასასხარად, მოდი, ვტაცოთ ხელი დანტონს თათებში და ჩვენს სამსახურში ჩავაყენოთ.

**კოლო** – სიცილით ნუ მკლავ, რობესპიერი! ეგ შენი ტაქტიკური გეგმაა თუ რაინდის რომანსი?

**რობესპიერი** – მოკვდინება გვირჩევნია, გეთანხმებით! მაგრამ ყური დამიგდეთ: ღრმად ვარ დარწმუნებული, დანტონს ყოველთვის კეთილი განზრახვა ამოძრავებდა. *(ხარხარი)* დანტონი – პირველყოფილი ნატურაა, სხეულია და არა გონება, მორალის გადასარჩენად არაფერს ერიდება, დანაშაულსაც კი. სიკვდილით დავსაჯოთ ახლა, როცა განიარაღებულია, სისულელე და უაზრობაა.

**ბიო** – *(ირონიით)* მშვენიერი სული გაქვთ, მეგობარო.

**სენ-ჟიუსტი** – დანტონი განიარაღებულია! ჩვენ, უმაღურნი, ამას არ ვაფასებთ.

**რობესპიერი** – დიახ, დიახ, ეს ასეა. ერთადერთი იარაღი ჰქონდა „ძველი კორდელიერი“. აღარა აქვს.

**პოლი** – დემულენი ხვალვე გამოუშვებს „ახალ კორდელიერს“! მაშინაც განიარაღებული იქნება?

**რობესპიერი** – ეგ საქმე სულ უბრალოდ მოგვარდება! დანტონს არც ფიქრი შეუძლია და არც წერა... ესე იგი, საკმარისია...

**კოლო** – კამილ დემულენი მოვსპოთ...

**რობესპიერი** – გადმოვიბიროთ, კოლო, გადმოვიბიროთ... ეგ ბუბუშქოვარა ჩვენი იდეების ფანატიკური მქადაგებელი გახდება, თუ შევძელით და ეს იდეები მას, თვალწინ, ეფექტურად დრამად გადაუკეთეთ...

**კოლო** – როგორ მოვახერხებთ ამას, ყველაფერს?

**რობესპიერი** – ნებისმიერი მიზეზებით უნდა დავაპატიმროთ დანტონისეული ოპოზიციის ყველა მეთაური კონვენტში. კამილ დემულენი ისე შეშინდება, დიდხანს ვერ მოვა გონს და დანტონი ობლად დარჩება. მარტო, კენტად.... გაქცევას ვერ გაბედავს. სხვა რაღა დარჩა – ჩვენთან მოვა.

**სენ-ჟიუსტი** – ჩვენთან მოვა და ნუ დაგავიწყდა, დასძინე, ისარგებლებს კონვენტში თავისი მღვთმარობით და მაშინვე დაიწყებს ვაჭრობას ინგლისელებთან ჩვენი საიდუმლო გეგმებით.

**ლენდე** – ათი აკვისტოს კაცი და ჯაშუშობა! თქვენ ამით დანტონს კი არა, რევოლუციას ამცირებთ!

**რობესპიერი** – გესმის, სენ-ჟიუსტ?

**შიკრიკი** – მოქალაქე ამარი! *(შეძოდის ამარი)*

**კოლო** – მოგესალმები, ამარ. გაუმეორე ერთი ამათ, რაც გუშინ მიაბბე.

**ამარი** – *(დაჯგუდება. თავშეკავებული მანერით)* მეგობრებო, როგორც ინდოეთის კომპანიის შანტაჟის საქმის გამოძიების ხელმძღვანელი, გაცნობებთ, რომ პირადად დანტონი შუამავლობდა დეპუტატებსა და ბანკირებს, რომლებიც გარეულნი არიან კონვენტის კორუფციაში, ჩვენ რომ გავხსენით. დღეს უკვე მოპოვებული გვაქვს მტკიცებულებანი ამის თაობაზე.

**ბარერი** – *(რობესპიერის)* რა მოგდით, მეგობარო? ლოცულობთ?

**რობესპიერი** – *(მდივანს დელიკატურად ანიშნებს, დაგვტოვეო)* რასაც ახლა ვიტყვი, ოქმში ჩასაწერი არ არის *(მდივანი გადის)* უნდა გამოვიტყდეთ, მეგობრებო, დანტონის უმწიკვლობისა არც მე მჯერა.

**ხმები** – მამ, რაშია საქმე? აქამდე რატომ სდუმდი?

**რობესპიერი** – მართლაც რომ აღმოჩნდეს სიყალბისმქნელი და პოლიტიკური ვაჭრუკანა, დანტონის სიკვდილით დასჯაზე მაინც ვერ დამითანხმებთ. სამართლიანობა, ბატონებო, ყოვლისშემძლე უზენაესის პრივილეგია და სიმართლეა. სამართლიანობა მიუწვდომელია ჩვენთვის. ჩვენი ხვედრი – ბრძოლაა. რევოლუციური ტრიბუნალი სამართლის დაწესებულება არ არის. *(პროტესტი და ვაკეირვება კოლოსი, კარნოსი, ბარერი)* ტრიბუნალი სასამართლო არ გახლავთ. ტრიბუნალი – იარაღია. ტრიბუნალმა დამნაშავენი კი არ უნდა დასაჯოს, მტრები უნდა ანადგუროს. ფაბრი, შაბო და დანტონი დამნაშავენი არიან და ამისათვის დაისჯებიან კიდევ ფაბრი, შაბო და მათი თანამოაზრენი. დანტონს კი, თუმცა ამ დანაშაულში ლომის წილი უძევს, ხელს არ ვახლებთ. დანტონის დასჯით ბევრს დაგვარავთ, ძალიან ბევრს და ახლავე მოგახსენებთ, რასაც: უპირველეს ყოვლისა, კონვენტის უმრავლესობას: დეპუტატებს შეუძლიათ განგვიდგნენ. ახლა ხალხის რწმენას რა დაემართება? ამ რწმენას საფუძვლამდე შევურყევთ ხალხს. და რაც მთავარია, ჩვენ თავსვე გავწირავდით, რადგან აუცილებლად მოგვიხდებოდა მკვეთრი შემობრუნება ტერორისაკენ. ალბათ, მეტყვით, საშინელი ზომები საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა სიტუაციაც საშინელია. ვიცი, ეს კარგად ვიცი, ბიო. ვიცი და მაინც მეშინია იმ ზომებისა, ისე მეშინია, მზად ვარ, დავთმო, თავი დავიმცრო, ოღონდ

გადავარჩინო საფრანგეთი ამისაგან. სამშობლოს კეთილდღეობა ყველაფერზე მაღლა დგას. ეს კეთილდღეობა კიდეც ბევრჯერ მოგვთხოვს უკანდახევას და კომპრომისსაც კი. დანტონი გაიძვერა და ვაჭრუკანა – კონვენტში უნდა გვყავდეს და აუცილებლად უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული პრივილეგიით... მაგრამ სამართლიანები რომ უნდა ვიყოთ, ამის უფლებაცა გვაქვს.

**სენ-ჟიუსტი** – მაქსიმ, ფრონტზე გადამწყვეტი შემოტევა დაიწყო, შინაური გართულებებიცა გვაქვს, უნდა აუცილებლად დავიწყოთ ახალი ხელისუფლებისათვის დაწესებულებათა შენება... სადა გვაქვს იმდენი ძალა ან იმდენი დრო, მაგ ბულდოგის ყოველდღიური ყევა მოვიგერიოთ?

**რობესპიერი** – მეგობრებო, დანტონის კაპიტულაცია ორი-სამი დღის საქმეა...

**ბიო** – ასე რომ არ მოხდეს?

**რობესპიერი** – მაშინ სხვა გზას აღარ გვექნება... მაგრამ, მეგობრებო, ეს უკანასკნელზე უკანასკნელი ზომა, ყოველდღიურად უნდა ვეცადოთ, დიახ, უნდა ვეცადოთ, თავიდან ავიცილოთ!

**შიკრიკი** – ბატონი ვადიე – საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტიდან, განსაკუთრებით უმნიშვნელოვანეს საქმეზე.

**კოლო** – სთხოვეთ, მობრძანდეს *(პასუხს არ უცდის, ისე შემოვარდება, აღშფოთებული ვადიე)*

**ვადიე** – ისინი თავისას არ იშლიან. ერთი საათის წინ თავს დაესხნენ კომიტეტს...

**ბიო** – სად?

**ვადიე** – კონვენტში. ამას სახელმწიფო გადატრიალების სუნი უდის!! დღეს მათ თავისას მიაღწიეს: ერონი დააპატიმრეს!

**ლენდე** – ვინ არის ერონი?

**ამარი** – პარიზის მთელი დაცვის უფროსი. მაგ კაცის გარეშე პარიზზე კონტროლს დავკარგავთ.

**ვადიე** – გინდა კომიტეტი დაუთხოვია კონვენტს და გინდა ეს მომხდარა.

**კოლო** – ესეც შენი განიარაღებული დანტონი, რობესპიერი!

**რობესპიერი** – წავიდეთ, სენ-ჟიუსტი!

**სენ-ჟიუსტი** – სად?

**რობესპიერი** – კონვენტში. მე მათ ვაიძულებ, უკან წაიღონ ერონის დაპატიმრების უღლეური დეკრეტის ყოველი სიტყვა. მე დაგიბრუნებ ერონს, ვადიე. *(გარბის)*

**ვადიე** – *(კოლოს)* ეს დანტონს იცავდა?

**ბარერი** – მერე როგორ!

**ამარი** – ხომ არ გაგიჟდა? ეგებ მეგობრობს იმ ურჩხულს? ან ხომ არ ეშინია? თუ იცდის? ვერაფერი გამიგია...

**კოლო** – *(ფიქრიანად)* ჰმ... ჩემო მეგობრებო: არცერთი ჩვენგანი არ იცნობს რობესპიერს. მხოლოდ ღმერთმა უწყის, რა იმალება ამ მარად ნათელი თვალებისა და მძაფრი გამოხედვის მიღმა.

## მეექვსე სცენა

*კონვენტის ვესტიბიული. აღვზნებული დანტონი ბოლთასა სცემს. შეძოდის დემულენი.*

**დანტონი** – რაო, ბიჭი? დაილუპა დანტონი, არა? საწყალი, შეუნდოს ღმერთმა! აბა, რას იტყვი?

**დემულენი** – მაპატიე – დანტონ, თვალთ დამიბნელდა თუ რა დამემართა: როგორ დავეჭვდი შენს ძლიერებაში, რა მომივიდა? რა მოხდა?

**დანტონი** – შეგეშინდა, ჩემო კარგო, შეგეშინდა.

**დემულენი** – დანტონი, შენც კი ვერ გაპატიებ ასეთ ხუმრობას.

**დანტონი** – *(მხრებში ხელს ჩაავლებს, ჭმუჭნის)* არ მაპატიებ? *(უფრო ღონივრად)* ახლაც არ მაპატიებ?

**დემულენი** – მ...მ.....მ...ვაი!

**დანტონი** – ბიჭუნა! გესმის, რა ჩავიდინეთ? სანკიულოთა კომიტეტი გავანადგურეთ! ერთი კვირაც და მაგათი ხსენებაც არ იქნება. ერთი კვირაც და პარიზს არჩევანი მოუწევს: ან მე ან იაკობინელები!

**დემულენი** – დანტონ, შენ უღიადესი ხარ!

**დანტონი** – შენ კი არარაობა, პირფერი!

**დემულენი** – თუ გინდა სასიკვდილოდ გამგზავნე... შენი გულისთვის...

**დანტონი** – უკეთესია, სწერო... რა დროს სიკვდილია. რაში გამომადგება კამილის გვამი? *(შეძოდიან დელაკრუა, ბურღონი, ვილიაპო)*

**დემულენი** – ბრავო, ბურღონ! აი, ეს მესმის; გაკვეთილიც ასეთი უნდა!

**დელაკრუა** – დიდება ბურღონს! გაუმარჯოს კომიტეტის მსახვრელს!

**დანტონი** – ძმაო, მთელი საფრანგეთის სახელით მადლობას გიხდი. შენ გიმაღლით პირველ გამარჯვებას: ამ ჭრილობას იაკობინელები დიდხანს ვერ მოიშუშებენ.

*(ძლივინის ტრაგიკული სახე გამოჩნდება კულისებიდან)*

**მდივანი** – *(ვანწირული ჩურჩულით ყვირის)* დანტონ! დანტონ!

**დანტონი** – *(სწრაფად მობრუნდება, დელაკრუას რაღაცას ანიშნებს, მიღის მდივანთან. დელაკრუა დანარჩენებს შეიყოლებს)* რა გინდა?

**მდივანი** – ბიო სახელმწიფოს დალატში გადანაშაულებთ. რობესპიერის გარდა, ყველა თქვენს სიკვდილს მოითხოვს.

**დანტონი** – ჩემს სიკვდილს?

**მდივანი** – არა, ამ ბატონისაც. ყველა დაასახელეს! *(უნდა გაიქცეს)*

**დანტონი** – მოიცა!

**მდივანი** – აქ რომ ჩამავლონ – მომკლავენ!

**დანტონი** – რობესპიერი გულწრფელია თუ თვალთმაქცობს?

**მდივანი** – რა ვიცი... გამიშვით! აქეთ მოდიან.

**დანტონი** – სენ-ჟიუსტი?

**მდივანი** – უმრავლესობის მხარესაა... ღმერთო, ღმერთო, აქეთ მოდის!

**დანტონი** – *(გაუშვებს)* ეი, არ გესმით! *(გაივებს)* ჩქარა, გაიქცით, მოდიან! *(დელაკრუა მიხვდება, დანარჩენებს გაიყოლებს. დანტონი ისევ ბოლოთასა სცემს. დაფიქრებული, მშვიდი).*

**რობესპიერი** – *(შემოდის, უკან სენ-ჟიუსტი)* რას მეუბნები, უკვე გაზაფხულდა, სენის სანაპიროზე? რაღაც არ მჯერა, გუშინ გავიარე და რტოებს ერთი ბეწო კვირტები ძლივს შევამჩნიე. *(დანტონის დაინახავს, მავრამ ვითომ არც ყოფილა, ჩაივლის)* თუმცა წელს გაზაფხულმა შმაგი ტემპერამენტი გამოიჩინა.

**დანტონი** – *(მოშორებით დგას, მხოლოდ რობესპიერს აუწევს ხელს)* მოგესალმებით, მეგობარო?

**რობესპიერი** – *(ვასაოცარი უშუალობით)* გაგიმარჯოს! *(სენ-ჟიუსტი და დანტონი მტრულად უმზერენ ერთმანეთს. რობესპიერი და სენ-ჟიუსტი ჩაივლიან. დანტონი ზიზლით ვასცქერის მიმავალთ)*

**ბურღონი** – *(ვიყვივით შემოვარდა)* დანტონ! დანტონ! ჩემი დეკრეტი დაარღვიეს...

**დანტონი** – ახლავე შებრუნდი და დაიცავი! გესმის? ცოცხლად!

**ბურღონი** – მე? მე უნდა დავიცვა? *(შეუძნეველად შემოიპარება ფილიპო)* რობესპიერი გაცოფდა. კონვენტი შეშინდა, მუხლმოდრეკილებმა უარყვეს ყველაფერი. ერონი გაათავისუფლეს. წადი, დანტონი, რაც ძალი და ღონე გაქვს, დაუღრიალე, ეგებ გვეშველოს რამე, თორემ ყველაფერი დაიღუპება.

**დანტონი** – დროს ნუ კარგავ, ბურღონ! მარცხნისაა-კენ!

**ბურღონი** – ჩემი სურვილით შევასკდი კომიტეტს, თუ რაშია საქმე? დანტონ, მე არ დამსვამენ დიქტატორად... *(დანტონი ეცემა ბურღონს. ჭიდაობაში ბურღონი უფრო ხმამაღლა ყვირის)* იაკობინელთა ჩონჩხისაგან აშენებულ ტახტზე... *(დანტონი პირზე ხელს ააფარებს. დაუსხლტდება)* შენი გულისთვის თავს არ დავიღუპავ. წადი, დაიცავი შენი დეკრეტი. *(გაბრაზებული დანტონი ცაჩკაჩებს. ფილიპო გაფითრდა. შეძოდის დემულენი)*

**დანტონი** – არ გესმის, ბურღონ? წადი, ტყავი გადაირჩინე და გასსოვდე: დილით რომ მესხენებინე, უკვე ლა-ფორსის ციხეში იქნებოდი გამომწყვდეული.

**ბურღონი** – ოხ, როგორ შემაშინე!! *(დელაკრუაც შემოიძურწა)*

**დანტონი** – ბურღონ, ხომ დანაზე ის კაცი? კომიტეტის მდივანი იყო. გამაფრთხილა – შენი გასამართლება უნდათო. ნუ შეშინდი, მხოლოდ ჩემზეა ლაპარაკი. თქვენზე არავინ არაფერი იცის... ჯერჯერობით, მაგრამ ჩემს მიტოვებას თუ გაბედავ... *(პაუზა)* გირჩევ, შედი და ამოკემსე, რაც დაგერღვა, სანამ გვიან არ არის.

**ბურღონი** – ო, იესო, ხომ ვიცოდი, ასე რომ დამთავრდებოდა. ვიცოდი! ვიცოდი *(უაზროდ მიმოიხედა, წასვლას აპირებს)*

**დანტონი** – *(სხდომათა დარბაზისკენ მიუთითებს. ჩუმად)* ეი, ბურღონ! დარბაზი აქეთ არის! *(ბურღონი მობრუნდება და ნელა, ფეხათრევიტ შედის სხდომათა დარბაზში. დანტონს ელიძება, მაგრამ დემულენის გაოცებულ სახეს წააწყდება, წამსვე იგრძნობს დანარჩენ მოწმეთა მზერასაც და მკვეთრად შებრუნდება მათკენ).*

**ფილიპო** – *(კანკალებს ძლივს)* არამზადა!

**დემულენი** – ფილიპო, გაგიჟდი?!

**ფილიპო** – *(ანთებული)* ესე იგი, ქვეყანა და ხელისუფლება ეშმაკსაც წაუღია, თუ კი დანტონი დაუსჯელად მოიპარავს გვირგვინს, არა? ჩვენ კი, ბრიყვები, ვებრძვით ტერორს, კომიტეტებს,

ყველას, ყველაფერს... იმიტომ, რომ დანტონი არ წარსდგეს სასამართლოს წინაშე, არა? იმიტომ რომ დანტონი არ ჩადგეს ყალბისქმნელი ვაჟბატონების ფავორისა და ვენსანის რიგებში, არა? ო, რა კრეტინი ვარ! იესო უტკბილესო! ეს პირუტყვი, ეს გაუმაძღარი მომხვეჭელი, ვერ უნდა მეცნო? ტფუ! (*მიაფურთხებს და გაეცლება*)

**დანტონი** – გაიქეცი, ბარემ, კომიტეტში და დამასმინე!

**ფილიპო** – განა არ გიცნობენ! ახალს რას ვეტყვი! ო, უბედურო, უბედურო ჩემო ქვეყანავ! (*გაღის*)

**დელაკრუა** – საზიზღრობა იყო ეს ყველაფერი, დანტონ.

**დანტონი** – შენც გარბიხარ?

**დელაკრუა** – შესაძლოა, ასეც მოვიქცე. გულახდილად გეტყვი, ვერავითარ გზას ვერ ვხედავ, აქედან თავი დაიძვრინო. ხელი არ გაანძრე, როცა გაგქურდეს და გაზეთი წაგართვეს. იმ გაზეთში იყო შენი ავტორიტეტიცა და გავლენაც. აი, დღესაც... წააგე; წააგე საბოლოოდ. შენი ფსონი კონვენტში – გაჭრილია. ერთი სიტყვით, უხმლოთა და უფაროდ დარჩი. ნეტა რას იზამ, იაკობინელებმა მართლა რომ გცნონ დამნაშავედ?

**დანტონი** – ეგ უკვე მოხდა, ჩემო ძმაო, არ გაგივია?

**დელაკრუა** – (*თითქმის კმაყოფილი*) მაშ, მართალია?

**დანტონი** – (*სიზმარეულად*) სამწუხაროდ!

**დელაკრუა** – ძაღლის შვილები! უნდა ავიბარგოთ, დანტონ! ეგებ ეს უკეთესიც იყოს შენთვის, გააჩნია, საქმეს როგორ შეხედავ. ახლა შევიძლია ინგლისის სთხოვო თავშესაფარი. საშვს საზღვაო საზღვრამდე გიშოვნი. ამაღამვე უნდა გავიქცეთ.

**დანტონი** – მაგრამ სამშობლო ფეხსაცმლის ლანჩით ვის წაუღია?

**დელაკრუა** – კარგი ერთი, ტრიბუნაზე ხომ არა ხარ. მეგობრულად გირჩევ, გადაგვარჩინო ორივე, ვიდრე გვიან არ არის და გზა თავისუფალია.

**დანტონი** – გზა დახშულია, ჩემო ძაო, ინგლისელ პიტთან კავშირი რახანია გავწყვიტე.

**დელაკრუა** – კი მაგრამ, რატომ?

**დანტონი** – ამას სამშობლოს კეთილდღეობა მოითხოვდა. საფრანგეთის მტერი ჩვენი მტერია.

**დელაკრუა** – აი, თურმე რაშია საქმე? თუ პიტმა თვითონ დაგითხოვა... სამწუხაროა. ყური მიგდე, ჩემო კარგო: შენი



გულისთვის ჩემს თავს ვერ მოვაკვლევინებ. ამ წუთიდან ორი დღით ავად გავხდები და თუ ამ ვადაში არ გამომათრევ ამ საქმიდან, ვეცდები, კომიტეტს გამოადგეს ჩემი მრავალგვარი ინფორმაცია. ჩვენი მისია ბრიუსელში ჯერ, ალბათ, გახსოვს? აბა, ორი დღით გემშვიდობები. ნახვამდის.

**დანტონი** – ეი, დელაკრუა! რა ღირს ახლა ძველებური ფლამანდრიული ხარახურა, ბრიუსელში მანქანებს რომ ეძახდნენ? *(შემკრთალი დელაკრუა შემობრუნდება)* ნუ დაგლეჯ... ნუ გლეჯ... იმ ძველ ... კავშირს. ეს კარგს არ შეეყრის! მე კი იმდენი რამ მაქვს კიდევ რეპერტუარში, შენ და შენნაირები ვერც კი დაითვლით. აი, დაველაპარაკები რობესპიერს და ნახევარ საათში თუ არ წამოვიკიდე, სადაც გინდა წადი და დამსმინე.

**დელაკრუა** – მაგასაც ვნახავთ. *(ვაღის)*

**დემულენი** – მე შენთანა ვარ, დანტონი!

**დანტონი** – წავიდეთ, ბიჭუნა, თორემ მოგვისწრებენ. მე კი, იცი, ისე შემძულდა ადამის მოღგმა, ლამის გული ამერიოს, განსაკუთრებით, თუ ერთ-ერთი მათგანი შემხვდა – მომეგობრო პიროვნება *(ფანჯარაში გაიხედა)* აი, ხომ ვითხარი, მოდის. აბა, წავედით.

*(კართან გვერდს აუვლიან ბიოსა და ვადიეს)*

**ვადიე** – ფარშიან ყვერულს არა ჰგავს. უნდა გამოიშიგნოს და რაც მალე, მით უკეთესი. *(შემოდიან რობესპიერი და სენ-ჟიუსტი)*

**რობესპიერი** – მგონი, ყველაფერი მოწესრიგდა.

**ბიიო** – როგორ ებლაუჭებიან იმ თავის დეკრეტს!

**რობესპიერი** – ისინი თავის სავარძლებს ებლაუჭებიან, შიშისაგან რომ არ ჩამოცვივდნენ. რა დახუთული ჰაერია! ბატონებო, დროა დავბრუნდეთ კომიტეტში.

**სენ-ჟიუსტი** – ერთი წუთით შეჩერდი, რობესპიერი. დროს რატომ ვკარგავთ, ხომ მიხვდი, რომ დანტონი იარაღს არ დაყრის.

**რობესპიერი** – მხოლოდ მაშინ გადავდგამ მაგ ნაბიჯს, როცა დავრწმუნდები, რომ აუცილებელია. ჯერ უნდა ვცადო, რევოლუციას დავუბრუნო დანტონიცა და დემულენიც. რატომღაც მგონია, რომ ამას მოვახერხებ. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა შეიგნოს, რა დღეშიც ჩავარდა...

**ვადიე** – როგორ, იმ მოლაღატეს დაელაპარაკები?

**ბიიო** – შენ, რობესპიერი, დანტონის აუდიენციას სთხოვ?

**სენ-ჟიუსტი** – ბარემ, შეევედრე, ხელი გამოგიწოდოს.

**რობესპიერი** – ოხ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო! რა მოსატანია აქ ნებისმიერი დამცირება, თუ ეს ჩვენს სამშობლოს არგებს რაიმეს! *(თითქმის მზიარულად)* თუ საჭირო იქნება, მზადა ვარ, მუხლიც მოვუყარო დანტონს!

## მეშვიდე სცენა

*ცალკე ოთახი კაფეში. სუფრა გაშლილია. დანტონი საზეიმოდ გამოწყობილია. აქვე არიან დემულენი, ბურდონი, დელაკრუა.*

**დემულენი** – ჟორჟ, ნუთუ დელავ?

**დანტონი** – აქ საფრთხე, ალბათ, არ გველის, არა, დელაკრუა?

**დელაკრუა** – გარეთ კაფეს პატრონი დავაყენე. აქ მე გახლავართ. კედლები სქელია. ზმა არ გავა...

**დანტონი** – კარგია. *(სათს დახედავს)* რვას სამი წუთი უკლია.

**დემულენი** – ღმერთს გეფიცებით, გული მწყდება... და იცით რაზე: თვითონ რობესპიერმა სთხოვა დანტონის ეს შეხვედრა და ვერ გამოვიყენეთ. ჟორჟი უნდა ამოცხადებულიყო ცოტა გვიან, ცხრა საათზე, თანაც საშინაო ხალათში და ფლოსტებში... თავზეც, ღამით რომ იხურავს, ის ჩაჩი უნდა წამოდო. ეგონოს, რომ მოწყალება გაიღე და დათანხმდი.

**დელაკრუა** – მართლაც შესანიშნავი დროა, მოწყალე კაცად მოაჩვენო თავი.

**დანტონი** – დამტოვეთ! უკვე რვა საათია. კამილ, პირდაპირ შინ წადი, იცოდე!

**დემულენი** – ჟორჟ, ძალიან გთხოვ, დავრჩები. რობესპიერის დამცირება საკუთარი თვალთ უნდა ვნახო.

**დანტონი** – იდიოტს მეტი რა მოეთხოვება! ბურდონ, შენც ამასვე გირჩევ.

**ბურდონი** – *(მშვიდად)* ვერ მოგართვი. მე მართლაც უნდა გავიგო საკუთარი ყურებით, რაზეც აქ შეთანხმდებით, რომ ვიცოდე, კონვენტში რა ვთქვა.

**დანტონი** – კონვენტში ზუსტად იმას იტყვი, რასაც დაგარიგებ. ყურის გდება კი არ გაბედო!

**ბურდონი** – კარგი ბატონო... *(გაღიან)*

**რობესპიერი** – *(შემოდის. უნაკლოდ აცვია. ყველა დილი მუეკრავს. თითქოს გაახალგაზრდავებულა. ბრწყინვალედ*

*გამომუშავებული გულითაღობით, მხოლოდ მაღალი წრის კაცისათვის დამახასიათებელი მანერით გაუწვდის ხელს მტერს)*  
სალამო მშვიდობისა. უნდა მომიტევეთ, მგონი დავიგვიანე.

**დანტონი** – *(გვერდით მოუჯდა, მოუხერხებლად და უნდოდ: გრძობს, არა აქვს ასეთივე დახვეწილი მანერები)* ვახშამზე უარი რად შემომითვალეთ? დიეტაზე ხართ?

**რობესპიერი** – ღმერთმა დამიფაროს! ჯერ არც კუჭის კატარი მაქვს და არც შაქრის ავადმყოფობა.

**დანტონი** – საწამლავის ხომ არ შეგეშინდათ?

**რობესპიერი** – *(აღტაცებით)* ესე იგი, ან დიაბეტი უნდა მქონდეს, ან მანიაკი უნდა ვიყო? თუმცა ყველაფერი გასაგებია, თქვენის აზრით მე ავადმყოფი კაცი ვარ.

**დანტონი** – ესეც ასე, მოთელვა დამთავრდა. რობესპიერ, რამ გაგახსენათ ჩემი თავი?

**რობესპიერი** – აი, ეს მიყვარს! თქვენი მანერები, დანტონი, მთავრობასაც კი ადამბლავებს. თქვენ უკვე დიდი ხანია დამარცხდით, მაგრამ ჯერ კიდევ არ უტყდებით თქვენსავე თავს. ჩვენ კი, დანტონ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, გვირჩევნია თქვენი შენარჩუნება, ვიდრე... ლიკვიდაცია. თუ უარს იტყვით კონტრრევოლუციურ ოპოზიციაზე და თქვენს არღანს – დემულების – ახალ ჰანგზე ამღერებთ, საფრთხეც ავცილდებით და საზოგადოებრივი აზრის წყალობაც არ მოგაკლდებით. ვიმელოვნებ, დაუყოვნებლივ ისარგებლებთ მოულოდნელი და თქვენთვის ამ ხელსაყრელი პირობით.

**დანტონი** – რა გემართებათ, რობესპიერ? მე ვებრძოდი და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე კვლავაც შევებრძოლები მაგ თქვენს იაკობინურ კომიტეტებს, ერთადერთი კანონი, რომელსაც დავემორჩილები, ეს ხალხის კეთილდღეობაა. მხოლოდ ასე შემიძლია გიპასუხობთ ახლახან მოყენებულ შეურაცხყოფაზე.

**რობესპიერი** – თუ შეიძლება, ფრაზებს მოეშვით. კარგად გიცნობთ, დანტონ!

**დანტონი** – ვერ გაგიგეთ?

**რობესპიერი** – მე კი გაგიგეთ; სამწუხაროდ, გვიან: ამ შემოდგომაზე. სამაგიეროდ, ახლა ცოტა რამ ვიცი, მაგალითად, თქვენს ქონებაზე; ცოტაც – ინგლისელებთან დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე. ასეთ ნადავლს ვეღარაფერი გადასწონის.

**დანტონი** – მაქსიმ, ვინ ჩაგაგონათ ეს სისულელე?

**რობესპიერი** – აქედან გამომდინარე „კეთილდღეობა“ და თანაც „ხალხისა“, ცოტა უგემოვნოდ ჟღერს თქვენს ბაგეთაგან. მაგრამ... მაქვს სხვა საბუთებიც, რომელთა წყალობით მზად ვარ აგაცილოთ ყოველგვარი სასჯელი, თუ რევოლუციის მხარეს დაიჭერთ... და მიატოვებთ იმ თქვენ ინტრიგებს ორ თუ, ვეღარ დავეთვალე, სამ ფრონტზე, დეპუტატო დანტონ.

**დანტონი** – მოდი, ადამიანურად ვილაპარაკოთ. რობესპიერ, ვიცი და ვგრძნობ თქვენს უპირატესობას. მაგრამ გაფრთხილებთ: თქვენს ყბადაღებულ კომიტეტებსა და კონვენტს არაფრით არ დავემორჩილები, თუნდაც ოდესმე დავემარცხდე. ვინც ჩვენზე დაბლა დგას, ქედს ვერ მომასრევენიებს.

**რობესპიერი** – მთავრობა დგას თქვენზე დაბლა?

**დანტონი** – დიას, როგორც ნებისმიერი ბრბო დგას გენიალურ პიროვნებაზე დაბლა (*პაუზა*) მოდი, მართლაც მაღალფარსოვანების გარეშე ვილაპარაკოთ. (*ბოკალს მიაწოდებს*) რახან მოწამვლის აღარ გეშინია... (*სვამენ. რობესპიერი უკიდურესად მშვიდიად*) მაქსიმ, ძალიან მეზიზღება თქვენი მთავრობა; მეზიზღება ზუსტად ისე, როგორც თქვენ. ეს ჩვენი ყოვლისშემძლე ზიზღი მოიცავს მთელ კონვენტს და ორივე კომიტეტსაც, ოღონდ ერთი კაცის გამოკლებით. თქვენ იცით, ვინც არის ეს კაცი. იმიტომ რომ თქვენ... ჩემზე მეტი ხართ. ვინც აქცია მთავრობა თავისი ნების მორჩილ ინსტრუმენტად? ვინ...

**რობესპიერი** – გვეყოფა! საით გადაუხვიეთ, დანტონ?

**დანტონი** – შეთანხმებისკენ, მაქსიმ. იცი, რას გეტყვი...

**რობესპიერი** – უკაცრავად, ჩვენ ვერ გავუგებთ ერთმანეთს.

**დანტონი** – მაინც გეტყვით: ბრბოს გამოტვივინებულ გოგრებს მიღმა, თქვენ კარგად ხედავთ, რაც ხდება ტიულრიში და მის კედლებს გარეთაც. მზად ვარ, ვასალივით მოვუხარო ქედი ერთადერთ ადამიანს, რომელიც ჩემზე მაღლა დავაყენე. თუ თანახმა ხართ, შევთანხმებულვართ და ეგ არის.

**რობესპიერი** – თანახმა ვარ, ბოლოს და ბოლოს, ეს ფორმალური მხარეა; მაგრამ ამ ზავის ურყევე პირობები ხომ გახსოვთ?

**დანტონი** – მახსოვს, მაგრამ ახლა შეუძლებელია მხარი დაგიჭიროთ ვინმემ ან თქვენ, ან თქვენს ამჟამინდელ საქმიანობას. ეს რომ ჩავიდინო, მხოლოდ თქვენს კატასტროფას დავაჩქარებ, რადგანაც თქვენი პოლიტიკა – ბრწყინვალე სიგიჟის პოლიტიკაა. თქვენ რევოლუციის იზოლაციას ახდენთ, რობესპიერ! თქვენი

არაადამიანური მოთხოვნები აშინებენ ყველაზე გულფიცხ მოაზროვნეებსაც კი! თქვენს მიუწვდომელ სიმაღლეზე სუნთქვა უჭირთ ადამიანებს! ახლა თქვენი მაქსიმალიზმი? ცხვრისთავიანებზე არ მოგახსენებთ, ნეტარ არიან ბატისტინები, მაგრამ, ამათ გარდა, თუ ხვდებით, რას ანგრევს და აცამტვერებს თქვენი მაქსიმალიზმი? ვაჭრობასა და მრეწველობას! თქვენ გააკოტრებთ საფრანგეთს!

**რობესპიერი** – თქვენის აზრით, ამ საქმეს რა ეშველება?

**დანტონი** – რევოლუცია ხალხის ბუნებადღე უნდა დავიყვანოთ, რობესპიერ! რევოლუცია ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ.

**რობესპიერი** – საიღუმლო გახრწნას კატასტროფა მირჩევნია.

**დანტონი** – მაგრამ მიზანს მხოლოდ ასე მიაღწევთ.

**რობესპიერი** – ჩემი მიზანია – ცხოვრების პირობები გავხადო ხელმისაწვდომი მთელი ხალხისთვის თუ არა, შვიდი მერვედისთვის მაინც.

**დანტონი** – მოეშვით, გეთაყვა, ფრაზებს: მე თქვენ გიცნობთ, რობესპიერ!

**რობესპიერი** – მართლა?

**დანტონი** – ამ ბრბოზე დაყრდნობა, საშინელი რისკია. ეგენი ფეხსაცმლის თასმებს გილოკავენ... ვიდრე გრანიტივით ურყევი ხართ. ერთი თუ წაიბორძიკეთ – მდაბიონი ზედ გადაგივლიან. ბრბო შეიძლება კაცმა გამოიყენოს, მაგრამ მათზე დაყრდნობა? მათრახითა და თაფლით უნდა მართო ხალხი და არა უნიჭო თანამოაზრეთა მეშვეობით.

**რობესპიერი** – ეს იგი ჩვენი პროგრამა აბსურდულია?

**დანტონი** – სავსებით შესაძლოა, ასეც იყოს. ხალხი! სული ხალხისა! თქვენ, რომელიც ორღანივით უკრავთ ხალხის სულზე, თქვენ ხომ კარგად მოგვხსენებათ, და ეს არ შეიძლება, არ იცოდეთ, რა ხმაურიანი გრიალია ეს უსაქმურობა... და სიცარიელე. რამდენი ადამიანია ქვეყნად? ორი – სამი ათას სულზე! დანარჩენი ნედლეულია იაფასიანი და უაზრო. რობესპიერი, უკიდურეს სილატაკეში ყოვლად უმიზნო, უშინაარსო ცხოვრება მდაბიოთა ბუნებრივი სტიქია რომ არ იყოს, ხალხი ჭია-ლუასავით კი არ გამრავლდებოდა, დიდი ხანია ამოწყდებოდა, აბა, სცადე და თავისუფლება მიეც. ქვიშაზე ამოყრილ თევზებივით ამოიხოცებიან.

**რობესპიერი** – რას ამბობ, დანტონ! სოციალური რევოლუცია ჯერ არ დამთავრებულა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი ჯერ ბოლომდე არ ამოგვიწყვეტია. სწორედ ხალხმა უნდა დაიკავოს მათი ადგილი. ბიწიერება უნდა დაისაჯოს. ზნეობრიობამ უნდა იზეიმოს, თუნდაც ტერორის მეშვეობით.

**დანტონი** – არ მესმის, რას ნიშნავს „დაისაჯოს“! ნუთუ ეს არის შენი ზნეობრიობა, რობესპიერ? ქრთამი არ ავიღია, ფული არასოდეს გისესხია, ქალებში არ არეულხარ და არც დამთვრალხარ. გულისამრევად ზნეობრივი ხარ, რობესპიერ! შემრცხვებოდა, ამ ქვეყნად ოცდაათი წელი გაბღენძილს მეგლო მხოლოდ იმ უბადრუკი სიამოვნებისათვის, რომ სხვანი ჩემზე ცუდნი არიან. ნუთუ არასოდეს გესმის შენი ორეულის ჩუმი ჩურჩული: სტყუი, სტყუიო?

**რობესპიერი** – ჩემი სინდისი სუფთაა, დანტონ!

**დანტონი** – სინდისი სარკეა, რომლის წინ მაიმუნები იჭყანებიან. რადგანაც მუდამ უსუფთავესი კამზოლი გაცვია, ეს ნებას გაძღვეს, ვილიოტინით ხეხო სხვების ჭუჭყიანი საცვალი და მოკვეთილი თავებით გაუსუფთავო დასვრილი ტანსაცმელი? თუ მათ არ ერიდებათ ისეთებად მოგვევლინონ, როგორნიც არიან, ეს ნებას გაძღვეს, ყველანი სამარეში გადაუძახო? ვითომ ვინა ხარ? ზეციური პოლიციის აგენტი?

**რობესპიერი** – როგორ, შენ არა სცნობ ზნეობასა და ზნეობრიობას?

**დანტონი** – არც ბიწიერებას. ყველა ისე იქცევა, როგორც ბუნება კარნახობს. აკეთებს, რაც სიამოვნებს. შენც ასეთი ხარ, უანგაროვ!

**რობესპიერი** – მაგრამ ხანდახან ბიწიერება სახელმწიფო ღალატის ტოლფასია!!

**დანტონი** – აი, ეგ კი არ უნდა გეთქვა. ბიწიერებას შენც უნდა უმადლოდე, რადგანაც მან გამოაჩინა შენი „ზნეობრიობა“. ასე რომ, ჩვენი ორივეს ნაკლი რესპუბლიკისათვის საჭიროა. თუმცა შენ რომ კაცმა ყური გიგდოს, სიკვდილით დასჯაც მხოლოდ რესპუბლიკის კეთილდღეობისთვის უნდა ხდებოდეს. მაგრამ არ შეიძლება, დამნაშავესთან ერთად უდანაშაულოც რომ დაისაჯოს!!!

**რობესპიერი** – მერე ვინ გითხრა, რომ ჩვენ ერთი უდანაშაულო მაინც დავსაჯეთ?

**დანტონი** – ოი, ღმერთებო, უდანაშაულოდ დასჯილნი არ არიანო?  
*(ღიღი პაუზა... დანტონი ებრძვის თავის თავს: არ იცის, დატოვოს აქაურობა თუ რა ქნას.. ბოლოს თავს მოერევა, კარაძლე მისული უკან შემობრუნდება. რობესპიერს უკანასკნელი წინადადებით თავზარდაცემული ძლივს მოიკრებს ძალას. იღიმება)* აი, ახლა კი მართლაც გამიცანით, რობესპიერ...

**რობესპიერი** – ჭეშმარიტად...

**დანტონი** – ამიტომაც ნება მომეცი დავამთავრო და სათქმელი ბოლომდე მოგასწავლო. დიანაც, ვოცნებობდი, არ უარყოფ, უმაღლეს ძალაუფლებაზე. ამქვეყნად სხვაზე რაზე უნდა იოცნებოს კაცმა. ჩვენ, გენიოსებს, სხვა რა შეგვაცდენს? მაგრამ მე... მე... მე თვითონ, შიგნიდან გავტყდი. ამ სიმყრალეზე ვიბატონო? ჩემი სიცოცხლე შემეცოდა, რობესპიერ. სიმარტოვის სევდა და ზიზღი. ზიზღი და სევდა! აი, რამ შემეკვცა ფრთები. შენ ჩემზე ძლიერი ხარ. შენ მტკიცე ფოლადისაგან ჩამოსხმული დაშნა ხარ. მე კი რკინის ნერვებიანი არ გეგონო, ჯერ ისევ შემიძლია ტირილი... ქედს ვიხრი მხოლოდ შენს წინაშე, ამ ტილიან ქვეყანაზე ერთადერთი... ერთადერთი კაცი ხარ, გმირად დაბადებული. მზად ვარ, გემსახურო. მე, რომელიც მინისტრებს ვმბრძანებლობდი და მეფეებს ვაბითურებდი, შენი ერთგული ვიქნები მარად. გესმის? თვალებში შემომხედე, უანგარო ადამიანო. ჩემთან დასამალი აღარაფერი გაქვს.

**რობესპიერი** – *(შეხედავს)* ახლა კი ... გული მერევა... დანტონი...

**დანტონი** – *(გაფითრდა, დაბნეული თვალებს ახამხამებს. უეცრად, ფარული რისხვით),* მშხამავ! გველო! გინდა მომიშორო? სცადე, სცადე... ჩემი სიცოცხლე შენს ხელთაა. სცადე და ამ ერთი დაკვრით გვირგვინსაც თავზე მოირგებ. მაგრამ გახსოვდეს: გვირგვინი არ დაგინდობს, შუბლს გაგიხვრეტს, ტვინს დაგიფერფლავს; და ეს ყველაფერი გაცილებით ადრე მოხდება, ვიდრე გვირგვინქვეშ თავად ჩამოინგრევი. მაქსიმ, შენ ხომ მხოლოდ ადამიანი ხარ, ადამიანი და მეტი არაფერი. გვირგვინი კი მძიმე სატარებელია. ვერ გაუძლებ, მაქსიმ.

**რობესპიერი** – ორში ერთია, ან სიზმარში ვარ ან თქვენ გაბოდებთ.

**დანტონი** – ყური დამიგდე, რობესპიერი! შენს ადამიანურ გრძნობებს არ მივმართავ, ისინი არ გაგაჩნია. მე მივმართავ შენს რკინისებურ

ნებისყოფას: დაგვეყრდენ ჩვენ – ელიტას... იმ ჩირქის მორევს ნუ ენდობი. *(აქეთ-იქით იხედება, ჩუმად)* კამილს დავიყოლიებ. მთელ ფრაქციას მუხლზე დაგიჩოქებ. მხოლოდ თანხმობის სიტყვა გამაგონე... მაქსიმ... *(შუქართ)* მიპასუხე!

**რობესპიერი** – *(ადგება, ჩუმად)* გთხოვთ, მაპატიოთ. ორივე შეეცდით. დროა დავამთავროთ ეს კომედია.

**დანტონი** – დაჩაჩანაკებულხარ, რობესპიერი!

**რობესპიერი** – როგორ ვერ მივხვდი, მოვრალი ყოფილხარ!

**დანტონი** – იცი, ოთხი კაცი მყავს იმის მოწმედ, რაც აქ იყბედე.

**რობესპიერი** – ვიცი, აღრევე მივხვდი. რას იზამ, იმედი უნდა გაფუცრუოთ იმ მოწმეებს. მშვიდ ძილს გისურვებთ. *(გადის)*

**დანტონი** – *(ძიადხებს)* მაქსიმ! *(რობესპიერი ისე შემოხედავს, თითქოს სილა გააწნაო და გავა. დანტონი მაგიდას დაეყრდნობა. ლოყები ჩამოეკიდა, თვალები გაუშტერდა, სახე გაუყვითლდა და გაუჭკავდა, ყბა უცახცახებს. ქშინავს. ჩუმად შემოდის დელაკრუა, მომაკვდინებელი ღიმილი დასთამაშებს. დანტონი წამსვე გონს მოეგება, თითქოს არაფერი მომხდარა. მკვეთრად.)* გესმოდათ?

**დელაკრუა** – გვესმოდა, გვესმოდა, მეგობარო!

**დანტონი** – რა ფრთხილი და გაიძვერა! მაგრამ ამიერიდან სულ ცოტა, ანგარიშს მაინც გამიწვევს! აი, ასე მყავს ხელში გამოჭერილი, ეგ უანგარო, ევა!

## მერვე სცენა

საზოგადოების ხსნის კომიტეტი

*(ლოენდე, ბიიო, კოლო, კარნო, სენ-ჟიუსტი სხედან და ელიან)  
(ჩქარი ნაბიჯით შემოდის რობესპიერი. ტანსაცმელი არც გამოუცვლია. ვაფითრებულია. სამარისებური სიჩუმე)*

**რობესპიერი** – საღამო მშვიდობისა, ბატონებო: ბოდიშს ვიხდი, რომ გაცდევინეთ.

**კოლო** – ზუსტად ისე მოგვესალმე, როგორც მეფე ესალმებოდა ხოლმე მინისტრებს.

**რობესპიერი** – *(ჯდება, დაბნეულად)* აბა, როგორ უნდა მოგსალმებოდით?



**ლენდე** – სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

**რობესპიერი** – მე მოვითხოვ. რომ დანტონის საქმე გადაეცეს რევოლუციურ ტრიბუნალს. ერთი საათის შემდეგ, ზუსტად ოთხის ნახევარზე დანტონი უნდა დავაპატიმროთ.

**ბარერი** – როგორ? დღესვე.

**კარნო** – გაგიჟდით?!

**ბილი** – ნაადრევი ხომ არ არის?

**სენ-ჟიუსტი** – ახლა კი ისევ ის რობესპიერი ხარ!

**კოლო** – არავინ არ დაგვიჭერს მხარს, მაქსიმ!

**სენ-ჟიუსტი** – დანტონიც და მისი თანამოაზრენიც!

**კოლო** – ეს ხომ კომიტეტის თვითმკვლევლობაა!

**კარნო** – რასაკვირველია!

**რობესპიერი** – *(ყვირის)* გთხოვთ... მათქმევინეთ... *(ბაუზა)* დანტონი თავის ორგულობითა და ორმაგი თამაშით საშიში სულაც არ არის. საშიშია ის სულ სხვა რამის გამო. დანტონი მძლავრი, ნაყოფიერი შხამიანი ტვინია. ზუსტად ასეთი – დაუძარცხებელი ლოგიკის, ბრწყინვალე წარმოსახვის, მაგრამ მხოლოდ უსაზღვრო ეგოიზმისა და დამპალი სიცრუის დამბადებელი ტვინი, ალბათ, მარტო დემონსა ჰქონდა. სასტიკად შეეცდი, მეგობრებო. თურმე დღემდე არ ვიცნობდი დანტონს, ზუსტად ისევე, როგორც არ იცნობთ თქვენ. ოღნავ მეტი გამბედაობა რომ ჰქონდეს, ერთ თვეში ალადგენდა მონარქიას. ვიცი, ამისათვის უკვე მზად არის! დაუყოვნებლივ უნდა ვიმოქმედოთ. ბატონებო, დანტონი დღეს ალყაში მოქცეული გამძვინვარებული მხეცია.

**ბილი** – თუ ასეა, უნდა გავრისკოთ. ხვალ, დილით, კონვენტში რომელიმე ჩვენგანმა უნდა ვამხილოთ. თავი დაიცვას, თუ იქ იქნება...

**სენ-ჟიუსტი** – თუ არა და, ესე იგი, გაქცეულა! რაც იმას ნიშნავს, რომ ინგლისელებს ხელში ჩაუვარდებათ ერთი ტომარა უძვირფასესი ინფორმაციებისა.

**რობესპიერი** – კონვენტში თუ დაგვხვდა, ხმას არ ამოგვადებინებს. დღესვე ემზადებოდა კონვენტის გასაუპატიურებლად... ვისაც ამაღამ ვერ მოისყიდის, ხვალ მოტეხავს თავისი ღრიალით. დაყოვნება არ შეიძლება. უნდა ვიმოქმედოთ, მეგობრებო.

**ბილი** – სამწუხაროდ, მართალი ხარ.

**რობესპიერი** – საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტს უფლება აქვს დეპუტატის პრევენტული დატუსაღებისა. უნდა მოვიწვიოთ

კომიტეტის სხდომა და დაპატიმრების მანდატს სანქცია მივცეთ.

**კოლო** – კონვენტი გაგვაცამტვერებს, რობესპიერი.

**რობესპიერი** – რვა საათსა და ოცდაათ წუთზე დაიწყება კონვენტის მორიგი სხდომა. მე თვითონ მოვასწენებ დეპუტატებს ყველაფერს. პანიკა თუ ატყდება, ნუ შეშინდებით, დავაშოშმინებ, რადგან ეს იქნება ბუნებრივი პანიკა. ერთ-ერთმა ჩვენგანმა უნდა გამოაქვეყნოს საგანგებო ცნობა დანტონის საქმის თაობაზე, დანაშაულზე და აუცილებელ დაპატიმრებაზე.

**ბარერი** – ეგეთ მოხსენებას დილის ცხრა საათამდე ვინ დაწერს?

**სენ-ჟიუსტი** – მე. *(აძლიერებს ხელნაწერს)* აი, ინებეთ.

**რობესპიერი** – ნება მიბოძეთ, გადავხელო. *(სენ-ჟიუსტს გამოართმევს ხელნაწერს, კითხულობს)*

**ბილი** – ესე იგი თანახმა ხართ?

**კარნო** – ჩათრევას ჩაყოლა სჯობს.

**კოლო** – რა გაეწყობა...

**ბარერი** – ძნელი საქმეა, მაგრამ... *(რობესპიერი დააბრუნებს მოხსენებას)*

**სენ-ჟიუსტი** – ახლა მოვისმინოთ იმ პირთა სია, რომლებიც დანტონთან ერთად უნდა დავაპატიმროთ. დელაკრუა *(სიჩუმე)*, ფილიპო.

**ლენდე** – აბსოლუტურად უდანაშაულოა!

**სენ-ჟიუსტი** – იდეებით, შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ შედეგებით ვმსჯელობთ! ბურდენი!

**რობესპიერი** – ბურდენი მხოლოდ იარაღია მაგათ ხელში... ისიც ბრმა... ნამეტანს ნუ ვიზამთ!

**ლენდე** – ამაღამ ნათქვამი ეს შენი პირველი ადამიანური სიტყვაა!

**სენ-ჟიუსტი** – თანახმა ვარ... ამოვშალოთ. *(აძოშლის)* კამილ დემულენი! *(სამარისებური სიჩუმე)*

**რობესპიერი** – *(ოდნავ გაფითრდა, ტუჩი მოიკვნიტა)* დემულენი ჩემი მეგობარია!... რასაკვირველია, უმრავლესობას მივემხრობი, მაგრამ... ხომ არ მიგვეცა კამილისთვის ერთი დღე... ეგებ რაზე მოიფიქროს?

**ბილი** – არა!

**სენ-ჟიუსტი** – ასეთი იარაღი დანტონისტების ხელში! თუნდაც ერთი დღე! შეუძლებელია!

**რობესპიერი** – სამწუხაროა! მაშ, გადაწყდა! ჩამოაყალიბეთ  
დაპატიმრების მანდატი, ბიიო!

**ბიიო** – საზოგადოების ხსნის კომიტეტი ადგენს: აყვანილ იქნენ  
პატიმრობაში დანტონი... კიდევ ვინ არის, უკვე ამერია...  
დელაკრუა, ფილიპო და კამილ დემულენი. ნაციონალური  
კონვენტის ოთხივე წევრი გადაყვანილ იქნან ლუქსემბურგის  
სასახლის ციხეში, სადაც საკნებში, ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან  
სრულ იზოლაციაში იქნებიან. დაევალოს პარიზის ბურგომისტრს  
დაუყოვნებლივ შეასრულოს ხალხის რჩეულთა ეს ბრძანება.  
*(ნაწერს რობესპიერს გადასცემს. რობესპიერი გადაათვალიერებს,  
რადაც ასოს ჩაასწორებს და ხელს აწერს. ბრძანებას სენ-ჟიუსტს  
გადასცემს. სენ-ჟიუსტი ხელს აწერს. სამარისებურ სიჩუმეში  
ქალაქი ზე კალძის ფხაჭუნის გაზვიადებული ხმს ისმის)*

## მეორე მოქმედება მეცხრე სცენა

*დანტონის სახლი. დანტონი ვასცქერის სარკმელს.*

**დანტონი** – რაცა ხდება ან უნდა მოხდეს, ვგრძნობ, სასაცილოა. წინათგრძნობა მამშვიდებს და მეუბნება, ყველაფერი ძველებურად დარჩებაო; ხვალინდელი დღე დღევანდელს გაიმეორებს; ხვალზევით და ასე შემდეგ მოხდება ის, რაც ახლა ხდება. აურზაური არაფრის გამო! ჩემი შეშინება უნდათ! ამას როგორ გამიბედავენ?! ვერა, ვერ გაბედავენ! (*ქალაქს გახედავს*) ნუთუ ეს აღარ გათავდება? ნუთუ არასოდეს არ მიმქრალდება ეს შუქი? ნუთუ ხმაური არ მიწყნარდება? როდის ჩამოდგება სიჩუმე და უკუნი, ჩვენ საზარელ ცოდვებს რომ ვერც ვხედავდეთ და ვერც გვესმოდეს მათზე რაიმე. სექტემბერი?!

**ჟიული** – (*სცენის სიღრმიდან*) დანტონ! დანტონ!

**დანტონი** – გისმენ, ჩემო სიცოცხლე!

**ჟიული** – (*შემოდის*) რატომ ჰყვირი?

**დანტონი** – მე ყვიროდი?

**ჟიული** – ყვიროდი: საზარელი ცოდვებიო... მერე ხმამალა ამოიოხრე – სექტემბერიო?

**დანტონი** – მე? ეგ მე არ მითქვამს, გავიფიქრე მხოლოდ... ჩემთვის, ჩუმად... საიდუმლოდ...

**ჟიული** – რა გაკანკალებს?

**დანტონი** – აბა, როგორ არ ვიკანკალებ, როცა კედლებიც ალაპარაკდნენ... როცა სხეული ჩემი ისე მორღვეულა, რომ ფიქრები თავისუფლად ამოფრინდნენ, გარს მიმორბიან და ქვის ტუჩებით ლაპარაკობენ... ეს საშინელებაა!

**ჟიული** – ჩემი ხომ გჯერა?

**დანტონი** – რა ვიცი... ჩვენ სქელკანიანები ვართ, ხელებს კი ვუწვდით ერთმანეთს, მაგრამ ამაოა ეს გარჯა. სიმარტოვეა ჩვენი ხვედრი.

**ჟიული** – კი მაგრამ, შენ ხომ კარგად იცი, ვინც ვარ, დანტონი?

**დანტონი** – ვიცი, მაგრამ რას ნიშნავს ეს სიტყვა „ვიცი“? შენ შავთვალა ხარ, ხვეული თმები გეყრება ყელზე, სახის კანიც უნაზესი გაქვს. აი, ეს ვიცი. მაგრამ რა არის იქ, ამის იქით? (*ანიშნებს შუბლსა და თვალებზე*) ერთმანეთს რომ ვიცნობდეთ, ტვინი ხელში უნდა გეკვიროს და ხვეულებში ვეძებდეთ აზრებს!

**ჟიული** – ჟორჟ, ჩემო ჟორჟ!

**დანტონი** – ჰო, ჩემო კარგო, საშინელებაა-მეთქი ეს ყველაფერი, წელან ვითხარი... უმჯობესია, აღარ იფიქრო, ვიდრე ყოველი აზრი ასე ხმამაღლა წარმოიშვას. არის ზოგი რამ, ჩემო პატარა, რაც არავინ არ უნდა გაიგონოს. არ ვარგა, როცა ეს აზრები, ახალშობილივით, დაბადებისთანავე გაჰკვივან; არ ვარგა, არა!

**ჟიული** – ღმერთო, მიშველე, ნუ აუბნევ გონებას დანტონს! ჟორჟ, ჟორჟ, ხომ მცნობ, ვინა ვარ?

**დანტონი** – როგორ არა! ადამიანი ხარ შენ, ამას გარდა, ქალი ხარ და თანაც, ჩემი ცოლი. ორჯერ ორი ოთხია! ხომ ხედავ, ჯერ არ შევშლილვარ. მაგრამ ვინ ყვიროდა, „სექტემბერიო“? შენ არ მითხარი, ვილაც ყვიროდაო?

**ჟიული** – თანაც ისე, ოთახებს მიღმა მომესმა.

**დანტონი** – როცა სარკმელს მიუჯახლოვდი... *(ფანჯარაში გაიხედავს)* მშვიდად სძინავს ქალაქს... სინათლე ყველგან ჩამქრალია.

**ჟიული** – სადღაც ახლოს ბავშვი ტირის!

**დანტონი** – როცა სარკმელს მიუჯახლოვდი... ქუჩა ყვიროდა და კიოლა: „სექტემბერიო“!

**ჟიული** – მოგელანდა, დანტონ, გონს მოდი!

**დანტონი** – არა, კი არ მომელანდა, სიზმარი ვნახე! მაგრამ ეს სულ სხვა იყო... ახლავე გაიბობ... ო, ეს ჩემი საწყალი თავი... ისე აღარ მემორჩილება... ახლავე... ახლავე... ჰო, გამახსენდა: სადღაც, კოსმოსში, დედამიწა მძიმე ქშენით მიგრიალებდა. მე ზედ ვიჯექი, ზუსტად ისე, როგორც ველურ ცხენზე: ფაფარში ჩამეჭიდა ჩემი ვეება, გიგანტური ხელები, ფეხებით მუცელზე შემოვტმასნოდი, თავი უკან გადამეგდო და თმების ფრიალით ვრბოდი ასე უკიდევანო უფსკრულზე. შიშისაგან დავიყვირე და გამომელვიძა. ავლექი, სარკმელთან მივედი, გადავიხედე და სწორედ მაშინ მომესმა, ჟიული... რას ნიშნავს ეს სიტყვა? რატომ მაინცდამაინც ეგ თვე? რად იშვერს ჩემსკენ სისხლიან ხელებს? მე ხომ არავინ არ მომიკლავს? მიშველე, ჟიული! ტვინი მემღვრევა! ხომ სექტემბერში მოხდა ის ყველაფერი, ჟიული?

**ჟიული** – დიას, სწორედ სექტემბერში... რესპუბლიკა ილუპებოდა...

**დანტონი** – მტერი ჩვენს ზურგში რომ დაგვეტოვებინა, სულელები არ ვიქნებოდით? ან ჩვენ, ან ისინი! უფრო ძლიერს უნდა სუსტი

დაემარცხებინა... ეს ხომ სამართლიანია? და დავამარცხეთ! ეს მკვლელობა კი არა, სამოქალაქო ომი იყო.

**ჟიული** – შენ სამშობლო იხსენი.

**დანტონი** – დიას, ვიხსენი. ეს აუცილებელი თავდაცვა იყო, ეს უნდა გვექნა! ჯვარზე გაკრული კაცი ძალიან იოლად დამკრა: „ბოროტებაი უნდა მოვიდეს ქვეყნად. მაგრამ ვაი მას, ვისსა შიგანაც მოვედ იგი!“ „უნდაო“ – გაიგეთ, „უნდაო“? ის თავდაცვაც უნდა აუცილებლად თავს გარდაგვხდომოდა. ვინ დასწყევლის იმ ხელს, რომელიც „უნდამ“ აღმართა? და ვინ სთქვა „უნდაო“, ვინ? რა არის იგი, რაც ჩვენში ამ სიტყვის დასტურით მრუშობს, ცრუობს, ქურდობს და ჰკლავს? ჩვენ თოჯინები ვართ, ვილაცა თავის ნებაზე გვათამაშებს. თავად ჩვენ არარაობანი ვართ, არარაობა! *(პაუზის შეძევ)* აი, ახლა, მგონი, დავმშვიდდი... *(ისძის ფეხის ხმა. ყურს მიუვლებს. აფორიაქდება)*

**ჟიული** – ჩემო ძვირფასო, აგრე არა სჯობს? *(ახლა ორივეს ესძის ფეხის ხმა, ერთმანეთს ვერ უყურებენ დაფეთებულნი)*

**დანტონი** – აგრე სჯობს, აგრე... *(ვითომ მშვიდად არის და არაფერიც არ უნდა მოხდეს)* აუტკივარი თავი, ნეტა, რად ავიტკიე... *(ფეხის ხმა ძლიერდება)* წამო, ჟიული, ჩემო პატარა ანგელოზო, საწოლი გველის... *(დაუბრაზუნებლად შემოდის ოფიცერი. ორი გარისკაცი კარში ჩადგება. ჟიული შეჰყვირებს)*

**ოფიცერი** – მოქალაქე დანტონ, კანონის სახელით თქვენ დაპატიმრებული ხართ! *(ამოიღებს ქაღალდს)* აი, ორდერი...

**დანტონი** – ვიცი... ვიცი... ქუდი აქა მაქვს, წამოსასხამი კი არ დამჭირდება. ოფიცერო, წვიმამ გადაიღო?

**ოფიცერი** – *(არასამსახურებრივი კითხვით დაბნეული)* მგონი, არა წვიმს...

**დანტონი** – აბა, წავიდეთ...

## **ჩაბნელება**

## მეათე სცენა

*ნაციონალური კონვენტი. ტრიბუნაზეა ლეჟანდრი.*

**ლეჟანდრი** – მოქალაქენო, წუხელ, ღამით, დააპატიმრეს ნაციონალური კონვენტის კიდევ ოთხი წევრი. ვიცი, რომ ერთი მათგანი დანტონია. სხვები არ ვიცი, ვინ არიან, მაგრამ ვინც არ უნდა იყვნენ, აუცილებლად უნდა მოვიყვანოთ აქ და მოვუსმინოთ. დანტონი ისეთივე უდანაშაულოა, როგორც მე; მე კი, არა მგონია, ვინმემ ნებისმიერი თვალსაზრისით მისაყვედუროს. არ მინდა, შევეხო საზოგადოების ხსნისა და უშიშროების კომიტეტებიდან ვინმეს, მაგრამ სერიოზული საფუძველი მაქვს ვშიშობდე, რომ პირადულმა სიძულვილმა, პირადულმა ვნებებმა, შესაძლოა, წაართვას თავისუფლებას ის პირნი, რომელთაც არაფერი დაუშურებიათ სწორედ თავისუფლებისათვის! კაცი, რომელმაც 1792 წელს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ენერგიით იხსნა საფრანგეთი, ღირსია იმისა, რომ აქ მოვუსმინოთ. როდესაც ადამიანს სახელმწიფო ღალატში ადანაშაულებ, უნდა მოუსმინო კიდევ, რით იმართლებს თავს. *(ძლიერი მოძრაობა და თანაგრძობა დეპუტატებისა).*

**ხმები** – მართალია! მხარს ვუჭერთ ლეჟანდრის წინადადებას! მოვუსმინოთ! როდის მოვლება ბოლო დეპუტატების წვალებას!

**I დეპუტატი** – ჩვენ ხალხმა ამოგვიჩია. ხალხის ნების გარეშე არავის შეუძლია ჩვენი ხელყოფა!

**II დეპუტატი** – თქვენს სიტყვებს გილიოტინის სუნი ასდის. პრივილეგიები მოგინდათ? კანონის მახვილი ყველას კისერზე ერთნაირად ჰკიდა. *(ხმაური. უთანხმოება. ღრიალი)*

**რობესპიერი** – თქვენი ამ საკრებულოში ჯერარნახული დელეგა და განგაში თავისთავად ამტკიცებს იმას, რომ განსახილველი საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია. დიან, დღეს აქ დავინახავთ, შესძლებს თუ არა რამდენიმე კაცი სამშობლოს დამარცხებას. ნუთუ შეგიძლიათ უგულბებელჰყოთ თქვენივე პრინციპები და ზოგიერთ პირს ნება დართოთ იმისა, რაც გუშინ კატეგორიულად აუკრძალეთ შაბოს, დელონსა და ფაბრს? რით ან როგორ აგვიხსნით და გაამართლებთ ამ უპირატესობას? ჩვენ არაფერს ვამბობთ იმ ქებათა-ქებაზე, რომელიც აქ წარმოსთქვენს საკუთარ თავზე და მეგობრებზე. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით ამ ქების

ფასი. ჩვენ არც ის გვანტერესებს, მოცემულმა პირმა რა პატრიოტობა გამოიჩინა. ჩვენ გვანტერესებს მისი მთლიანი პოლიტიკური სახე... ლეჟანდრი გვარწმუნებს, დანარჩენ პატიმართა გვარები არ ვიცით. მან არ იცის ის, რაც ვიცით მთელმა კონვენტმა. დაპატიმრებულია მისი მეგობარი დელაკრუა. ვითომ რატომ არ იცის ეს ლეჟანდრმა? იმიტომ, რომ ესმის, დელაკრუას დაცვა, მართლაც, უდიდესი სირცხვილია. მან მხოლოდ დანტონი დაასახელა. ალბათ, ჰკონია, ეს სახელი რამენაირად პრივილეგიურია. არა, ბატონებო, ჩვენ არ ვცნობთ არავითარ პრივილეგიას, არც – კერპებს! (*აპლოდისმენტები*) რა უპირატესობა აქვს დანტონის ლაფაიეტთან, დიუმურიესთან, თუნდაც ბრისოსთან, ფაბრთან, შაბოსთან, ებერთან შედარებით ბოლოს და ბოლოს? რას ვამბობთ ამათზე ისეთს, რაც დანტონსაც არ ახასიათებს? და განა თქვენ ისინი დაინდეთ? რით მოიპოვა დანტონმა უპირატესობა თანამოქალაქეებზე? იმით ხომ არა, ზოგიერთი მოტყუებული რომ გაერთიანდა მის ირგვლივ და დაიწყეს ბრძოლა ბედნიერებისა და ხელისუფლებისათვის? რამდენადაც მწარედ მოატყუა მან პატრიოტები, რომელნიც ენდნენ, მით უფრო ძლიერ უნდა იგრძნოს დანტონმა თავისუფლების მეგობართა რისხვა. ზოგიერთებს სურთ დაგამინოთ, ვითომ თქვენ ბოროტად იყენებდეთ იმ უფლებებს, რომლებიც თვითონვე შექმენით. გაჰკვირან კომიტეტების დესპოტიზმზე, ვითომ ნდობა, რომელიც ხალხმა გამოვიცხადათ თქვენ, თქვენ კი კომიტეტებს გადაეცით, ნაღდი გარანტია არ იყოს მათი პატრიოტიზმისა. ამბობენ, შიშით ვკანკალებთო. მე კი გეუბნებით: ვინც ახლა, ჩვენს დროში, შიშით კანკალებს, დამნაშავეა; ვინაიდან უდანაშაულობა არასოდეს არ აკანკალებულა საზოგადოების ფიზიკური თვალის წინაშე! (*მეუხარე ტაში*) ჩემს დაშინებასაც ცდილობდნენ. გამაგებინეს; თუ საფრთხე დანტონს შეეხო, არც შენ დაგინდობსო. მწერდნენ, დანტონის მეგობრები კი, პირდაპირ, მოსვენებას არ მძლევედნენ, რადგან იმედი ჰქონდათ, ჩვენს ძველ ურთიერთობასა და ბრმა ნდობას იმისი მოჩვენებითი პატიოსნებისადმი შეეძლო შეენელებინა ჩემი მისწრაფება და ვნება თავისუფლებისათვის ბრძოლაში. საქვეყნოდ ვაცხადებ: ველარაფერი დამაკავებს, თუნდაც დანტონისნაირი საფრთხე მემუქრებოდეს. არც ჩვენ გვაწყენდა ოდნავ მეტი სიმამაცე და სულის სიდიადე. მხოლოდ დამნაშავენი და უხამსნი შიშობენ,



როცა მათი ეგრეთწოდებული თანამებრძოლნი ეცემიან, რადგანაც ჭეშმარიტების ნათელს ვერავის ზურგსუკან ველარ დაემალებიან. მაგრამ ამით გვერდით, თუ ჩვენს საკრებულოში ასეთები არიან, გმირებიცა გვყავს. გაიძვერები ცოტანილა დარჩნენ. გილიოტინის კიდევ რამდენიმე შრიალი და მამული გადარჩება! *(მჭუხარე ტაში)* მოგიწოდებთ, უარყოთ ლეჟანდრის წინადადება. *(ყველანი წამოდგებიან, სრული თანხმობის გამოხატავად)*

**სენ-ჟიუსტი** – ეტყობა, ჩვენ კრებას ძალიან მგრძნობიარე გულჩვილნიც ესწრებიან: სიტყვა „სისხლის“ გაგონებაზე გული უწუხთ. ჩვენ ბუნებაზე და დროზე მკაცრნი როდი ვართ. ატმოსფეროს შემადგენლობის სწრაფი ცვლა, ტელურის ცეცხლის აალება, ზვავები, წყლის მასების წონასწორობის რღვევა, ეპიდემია, ვულკანთა ამოფრქვევა, წყალდიდობა ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს. გეკითხებით: სულიერმა ბუნებამ რატომ არ უნდა მოახდინოს თავისი რევოლუცია ისევე უსიტყვოდ, როგორც ამას ფიზიკური ბუნება ახდენს? ნუთუ იდეას არ უნდა შესწევდეს ძალა, ისევე როგორც ფიზიკის კანონს, გაანადგუროს ყველაფერი, რაც წინაღუდებია? რატომ არ უნდა დაიღვაროს სისხლი იმ მოვლენისთვის, რომელიც ძირფესვიანად ცვლის მორალური ბუნების წყობას, ანუ კაცობრიობის წყობას? მსოფლიო სული ჩვენს ხელებს სულიერ სფეროში ზუსტად ისე გამოიყენებს, როგორც მატერიალურ სფეროში იყენებს ვულკანებს, სტიქიონსა და ეპიდემიებს. განა სულ ერთი არ არის, რისგან კვდება ადამიანი, ეპიდემიით თუ რევოლუციით?

კაცობრიობა კუს ნაბიჯით ვითარდება, თითო ნაბიჯს საუკუნეები უნდება. სულ მარტივი გამოწავონებისა და ელემენტარული ცოდნის შექმნის შედეგად მილიონობით გვამია განვითარების გზაზე. ნუთუ ბუნებრივად არ გეჩვენებათ, რომ ახლა, როცა ისტორიის სვლა დავაჩქარეთ, ოდნავ მეტნი იხოცებიან?

აქედან გამომდინარე, პირდაპირ და უბრალოდ უნდა დავასკვნათ: რადგანაც ყველანი ერთნაირ პირობებში შეგქმნილვართ, თანასწორნიც უნდა ვიყოთ. ამიტომ არავის არ უნდა ჰქონდეს პრივილეგიები, არც – პიროვნებას, არც – მითუმეტეს – ადამიანთაგან შექმნილ მნიშვნელოვან კლასს. ოთხ წელიწადში გააკეთეთ, რასაც ასწლეულები სჭირდებოდა და რასაც აუცილებლად მთელი თაობები შეეწირებოდა და კიდეც

გიკვირთ, როცა რევოლუციის ნიაღვარი ყოველ მოსახვევში მსხვერპლსა რიყავს? ბიბლიურმა მოსემ, თავისი ხალხი შორი გზით ატარა, წითელი ზღვა გადაალახვინა, უდაბნოებში აშიმშილა და სტანჯა და როცა ძველი უძლური თაობიდან ცოცხალი აღარავინ დარჩა, მხოლოდ მაშინ შექმნა ახალი სახელმწიფო. კანონმდებლენო! ჩვენ არც წითელი ზღვა გვაქვს, არც – უდაბნოები... მაგრამ ჩვენა გვაქვს ომი და გილიოტინა! *(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში)* ჩვენ მოვუწოდებთ ტირანიის მტრებს მთელ ევროპასა და დედამიწის ზურგზე, ჩვენთან ერთად გაინაწილონ ეს დიდებული წამი!! *(ყველანი დგებიან და „მარსელიოზას“ მღერაინ)*

## მეთერთმეტე სცენა ციხე

*შემოჰყავთ დანტონი, დელაკრუა, ფილიპო, დემულენი*

**დელაკრუა** – *(დანტონს)* როგორ ვიფიქრებდი, ასე სწრაფად რომ იმოქმედებდნენ.

**დანტონი** – მე კი ვიცოდი... მითხრეს...

**დელაკრუა** – იცოდი და არ გაგვაფრთხილე?

**დანტონი** – რა აზრი ჰქონდა? მოულოდნელი და უეცარი სიკვდილი არა სჯობია? თუ ის გირჩევნია, ლოგინად ჩავარდე და ყველა ოცნებობდეს, როდის მოკვდება, რომ ჩვენც მოგვასვენოს და თავადაც აღარ იტანჯოსო? ესიც არ იყოს... არ მეგონა, თუ გამიბედავდნენ... სჯობს, მიწაში იწვე, ვიდრე სიარულით ფეხები დაიბებრო. უფრო სასიამოვნოა, მიწა თავქვეშ გელოს, ვიდრე ფეხებქვეშ.

**დემულენი** – ნუ ეწამები, დანტონ. რაც უნდა გრძლად გამოყო, სიკვდილის ოფლს შუბლიდან ენით ვერ ჩამოილოკავ. ო, ღმერთო, რა გვეშველება!

**დანტონი** – ნუ შიშობთ, გილიოტინის კიბეზე არ წავბორძიკდები.

**დელაკრუა** – შენგან მოკვდინებული ხალხის სისხლი გახრჩობს, დანტონ!

**ფილიპო** – ჩვენ იმ ღვთისმსახურებს ვგავართ, კეთროვან მომაკვდავებთან ერთად რომ ლოცულობენ... იმ კეთრისაგან ვიხოცებით ახლა ჩვენ თვითონ.

**დემულები** – ბატონებო, ძალიან ვწუხვარ, ჩვენი ცდა ასე უნაყოფო რომ აღმოჩნდა. მაგრამ პირადად მე მხოლოდ იმიტომ ვილუპები, რამდენიმე უდანაშაულო მსჯავრდადებული რომ შემეცოდა...

**დელაკრუა** – რამდენი პატიმარი ყოფილა?! და ყველა ასეთ არაადამიანურ პირობებში...

**პატიმარი** – გილიოტინისაკენ მიმავალი გზების რაოდენობამაც ვერ მიგახვედრათ, რომ პარიზი დღეს სასაკლავოა! თვალი ადევნეთ თქვენს ლოზუნგებს ბოლომდე, როცა სიტყვა უკვე საქმედ იქცევა. მიმოიხედეთ – რაც ხდება, ყველაფერი თქვენს ლოზუნგებშია. ეს ყველაფერი თქვენი სიტყვების თარგმანია. ეს უბედურები, ამათი ჯალათები და გილიოტინები – თქვენი ხორცმესხმული სიტყვებია. თქვენ ისე აშენებთ თქვენს სისტემებს, როგორც ერთდროს პირამიდებს აშენებდნენ – ადამიანთა თავებისაგან!

**დანტონი** – შენ მართალი ხარ, ჩემო ძმაო! ახლა ყველაფერს ადამიანის ხორცისგან აკეთებენ. ეს ჩვენი დროის უბედურებაა. ჩემი სხეულიც მალე აიზილება. ზუსტად ერთი წლის წინ შეგქმენი რევოლუციური ტრიბუნალი. ამისათვის ვთხოვ პატიებას ღმერთებს და ადამიანებს. ახალი სექტემბერი, ახალი სისხლისღვრა მსურდა ამეცილებინა... უდანაშაულოთა გადარჩენა მინდოდა, მაგრამ ეს ნელი მოკვდინება, თავისი ფორმალურობით, უფრო გულისამრევია და, სამწუხაროდ, გარდაუვალი. ბატონებო, ვიმელოვნებდი, ჩვენ ყველანი გავაღწევდით აქედან...

**დელაკრუა** – აქედან გააღწევ, როგორ არა!

**დანტონი** – მე თქვენთან ვარ! მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, რითაც დამთავრდება ყველაფერი!

## მეთორმეტე სცენა

*მოსამართლეთა ოთახი.*

*ფუკიე, ერმანი და ბარერი*

**ფუკიე** – როგორ არის საქმე?

**ბარერი** – საქმე კარგად იქნებოდა, დანტონი რომ არ იყოს.

**ფუკიე** – პირველად დანტონი უნდა დაგვითხოვთ.

**ბარერი** – ნაფიც მსაჯულებს დაგვიფრთხობს. ეგ ხომ რევოლუციის საფრთხობელაა.

**ფუკიე** – მსაჯულებს მტკიცე ნებისყოფა უნდა ჰქონდეთ.

**ბარერი** – ერთი ნაცადი ზერხი ვიცი, მაგრამ კანონებს ეწინააღმდეგება.

**ფუკიე** – რა არის ასეთი?

**ბარერი** – მსაჯულებს კენჭს ნუ ვუყრით. პირდაპირ საიმედოები ავირჩიოთ.

**ფუკიე** – კარგია. საქმეს ერთი დარტყმით მოვიშორებთ. ცხრაპეტი განსასჯელი გვყავს. კარგად ავჭვრიტ: ამათ მივუმატეთ ოთხი სპეკულიანტი, რამდენიმე ბანკირი და უცხოელი. მშვენიერი კომპოტი გამოვიდა. ხალხს უყვარს ესეთი ღესერტი. საიმედოებიო, ამბობდი. ჩამომითვალე.

**ბარერი** – ლერუა. ყრუა და არაფერი ესმის, რასაც მსჯავრდებულები თავის გასამართლებელს ამბობენ. რამდენიც უნდა, ილრიალოს დანტონმა.

**ფუკიე** – ძალიან კარგი. შემდეგი?

**ბარერი** – ვილატი და ლიუმერი. პირველი სულ ლუდს წრუპავს, მეორე – თვლემს. პირს თუ დაალებენ, მხოლოდ „დამნაშავეაო“ რომ სთქვან... ჟირარი ამბობს, კაცი თუ ტრიბუნალის წინაშე წარსდგა, თავი ველარ უნდა დაიდვინოსო. რედოდენმა ამასწინათ მკითხა: არ შეიძლება, მისჯილებს სიკვდილით დასჯის წინ ცოტა სისხლი გამოვუშვათო? მოდუნდებიანო. თურმე ვერ იტანს, თუ ვინმე გილიოტინაზე თამამად და გამოძწვევად იქცევა.

**ფუკიე** – გასაგებია. მე ყოველთვის მქონდა შენი იმედი.

**ბარერი** – ნუ ლელავთ, ყველაფერს მოვაგვარებ!!

## მეცამეტე სცენა

*ტრიბუნალი*

**ბარერი** – *(დანტონს)* თქვენი სახელი და გვარი, მოქალაქე?

**დანტონი** – ჩემი სახელი რევოლუციას ჰკითხნეთ, ის გეტყვით. მალე ჩემი სხეული საუკუნო განსასვენებლად არარსობაში გაიცრიცება. მაგრამ სახელი ჩემი ისტორიის პანთეონში დაიდებს ბინას.

**ფუკიე** – დანტონ! კონვენტი ბრალს გდებთ, რომ თქვენ მონაწილეობდით შეთქმულებაში მირაბოსთან, დიუმერთან, ჟირონდისტებთან, უცხოელებთან, ორლენელთა გვარის

წარმომადგენლებთან და ლულოვიკო მეჩვიდმეტის პარტიასთან ერთად.

**დანტონი** – ჩემი ხმა, რომელიც ამ კედლებში მხოლოდ ხალხის კეთილდღეობის დასაცავად გაისმოდა, მაგ ცილისწამებას სულ იოლად გააცამტვერებს. სიტყვა მიეცით ჩემს საცოდავ ბრალმძებლებს და სირცხვილის ტალახში ავზელ იმწამს იმ უბედურებს. მოვიტხოვ, აქ მობრძანდნენ ხსნისა და უშიშროების კომიტეტები. მე მხოლოდ მათ ვუპასუხებ. ორივე კომიტეტი მჭირდება ახლა, მჭირდება როგორც ბრალმძებლები და ამავე დროს მოწმეები. ნეტა ერთი მოვიდოდნენ, მეტი არაფერი მინდა... თუმცა რა შესაქმება ან თქვენთან, ან თქვენს განაჩენთან, უკვე გითხარი: მალე ჩემი პიროვნება იქ დაიმკვიდრებს სასუფეველს... სიცოცხლე მომბეზრდა და რაც უფრო სწრაფად განმამორებთ ქვეყნიერებას, მით უკეთესი...

**ფუკიე** – დანტონ, კადნიერება დამნაშავეთა თვისებაა, სიმშვიდე კი უდანაშაულობისა!

**დანტონი** – პირადი კადნიერება უდაოდ განკიცხვის ღირსია. მაგრამ ის ნაციონალური კადნიერება, რომელიც ამ კედლებშიც ხშირად გამოვლენილა და რომლის მეოხებითაც თავგამოდებით ვიბრძოდი თავისუფლებისათვის, ყველაზე მაღალი ზნეობის შედეგია. ახლაც მოუხმობ ამ კადნიერებასა და სიმამაცეს ჩემი უბადრუკი მტრების წინააღმდეგ, ჩემი რესპუბლიკის კეთილდღეობისთვის! ნუ გაკადნიერდი, ნუ თავხედობო, მეუბნებიან. როგორ შევიკავო თავი, როცა ასეთ ცილსა მწამებენ? ჩემისთანა რევოლუციონერისაგან თვინიერ თავდაცვას ელოდით? ჩემისთანები რევოლუციის იმედია და მათ მაღალ შუბლს თავისუფლების გენია აცისკროვნებს. *(მქუხარე ტაში)* ბრალს მდებენ, თითქოს მირაბოს, დიუმურიესა და ორლეანელების თანამზრახველი ვიყავი; თითქოს უბადრუკ დესპოტებს ქვეწარმავალივით ფეხქვეშ ვეგებოდი. მომიწოდებენ, პასუხი ვაგო უღმობელი და მტკიცე მართლმსაჯულების წინაშე. შენ, საცოდავო სენ-ჟიუსტ, შენ აგებ პასუხს მომავლის წინაშე ჩემი ლანძღვისათვის.

**ბარერი** – დანტონ, დაწყნარდით, მშვიდად გვიპასუხეთ, გირჩევთ...

**დანტონი** – როგორ თუ დავმშვიდდე?! თქვენ მთელი ჩემი ცხოვრება დაასამარეთ... ახლა ის უნდა წამოიმართოს საფლავიდან და თქვენს წინააღმდეგ აღიმართოს. უფრო მეტიც, თქვენ დაიმარხებით ყოველი ჩემი დიადი საქმის ჩრდილქვეშ. მე უკვე

აღარ ვამაყობ ჩადენილით. ბედისწერა გვისახავს მიზნებს, მაგრამ მხოლოდ დიდ პიროვნებებს შეუძლიათ მიაღწიონ ამ მიზნებს. ვინ გამოუცხადა ომი მონარქიას მარსის მინდორზე? მე! ვინ დაამხო იგი 10 აგვისტოს? მე! ვინ მოაკვდინა მონარქია ოცდაერთ იანვარს და ვინ გადაუგდო ევროპის მონარქებს ხელმწიფის თავი, ორთაბრძოლაში გამოწვევის ნიშნად! მე და ისევ მე! მე – დანტონმა! *(მჭუხარე ტაში, მოწიწების შედახილები. ხელს დაავლებს საბრალდებო ოქმს)* როცა ვუყურებ ამ სამარცხვინო ლოკუმენტს – ჩემს საბრალდებო დასკვნას – ბრაზისაგან ლამის გავეიჟღე. ვინ მაიძულა იმ ღირსსახსოვარ ათ აგვისტოს ხალხის წინაშე გამოვსულიყავი? ვინ არიან ის პრივილეგირებული პიროვნებანი, რომელთაც დანტონიმა თავისი მჭკუფარე ენერჯია ესესხა? დამანახეთ ჩემი ბრალმდებელნი. ყოველ სიტყვაზე პასუხს ვაგებ და გეუბნებით: მე გამოვააშკარავებ იმ საზიზღარ არამზადებს და შევებრუნებ იმ არარაობაში, საიდანაც, სჯობდა, არ გადმოლოლებულიყვნენ!

**ფუკიე** – *(ზარს რეკს)* თქვენ, რა, ზარის ხმა არ გესმით?

**დანტონი** – იმ ადამიანის ხმა, რომელიც პატიოსნებასა და სიცოცხლეს იცავს, მაგ შენ ზარზე უფრო ხმამაღლა უნდა რეკდეს. სექტემბრის თვეში მე ახალშობილი ბარტყები დავაპურე არისტოკრატითა ხორციით. არისტოკრატებისა და მდიდრების ოქროდან ჩემი ხმა იარაღსა ჭედდა ხალხისთვის. ჩემი ხმა იყო ის ქარიშხალი, რომელმაც ღესპოტიზმის დამცველნი ხიშტების ტყეში დაასამარა *(მოწონების შედახილები. ტაში)*

**ფუკიე** – დანტონ, თქვენ ზედმეტად აღვზნებული ხართ: უკვე ხმაც გეხლიჩებათ, თავდასაცავად სიტყვას სვალაც შემოგთავაზებთ. ახლა კი დასვენება გჭირდებათ. სხდომას დახურულად ვაცხადებ.

**დანტონი** – ჩვენ მოვითხოვთ კომისიას. გაფრთხილებთ, მხოლოდ კომისიას ვავცემთ პასუხს. *(მოწონების შედახილები, მეტი ხმაური, ტაში)*.

## მეთოთხმეტე სცენა

(რობესპიერის ოთახი. კაკუნნი)

**რობესპიერი** – გთხოვთ! შემობრძანდით! *(შემოდის ფუკიე და ბარერი)*

**ფუკიე** – რობესპიერი, ეს პროცესი, ვატყობ, ცუდად შემოგვიტრიალდება. დანტონი ქანდარას აგიჟებს. იმის მაგივრად, გვიპასუხოს, რაშია ბრალს ვდებთ, აქეთ შეტევაზე გადმოდის. ეს კი ხალხზე ძლიერ მოქმედებს, რობესპიერი. დღევანდელი დღე ისეთი დამქანცველი იყო, რომ თუ ასე გაგრძელდა...

**რობესპიერი** – თუ ასე გაგრძელდა, ჩემო მეგობარო, ზეგ მტრებით ალყაშემორტყმული საფრანგეთი გაიღვიძებს უმთავრობოდ და ინგლისელებისაგან ოკუპირებული დედაქალაქით...

**ფუკიე** – როგორ მოვიქცეთ, რობესპიერი?

**რობესპიერი** – როგორ და ხვალ, სასამართლოს მეოთხე დღეს, დანტონისა და მის დამქაშებს განაჩენი უნდა გამოვუტანოთ. დანარჩენი ჩვენ ვიცით.

**ფუკიე** – როგორ არ გესმით: დანტონის ზემოქმედება ხალხზე ჩვენსას აღემატება. ამას გარდა, წინ კანონი გვიღვეს და ჯერჯერობით სინდისიცა გვაქვს. დანტონს კი ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიდა და სწორედ ამიტომ ყველა, დიახ, ყველა თანაუგრძნობს. ხვალ დილიდანვე რომ დაიწყებს ღრიალს...

**რობესპიერი** – სიტყვა ჩამოართვით!

**ფუკიე** – მსჯავრდადებულს? განსასჯელს სიტყვა ჩამოვართვა? ხალხი გაგვთელავს და მართალიც იქნება.

**რობესპიერი** – კი არ გაგთელავთ, პატრის გცემთ და მოგერიდებთ. ამის ღრო დადგა, პროკურორო!

**ფუკიე** – კიდევ ერთი საქმე მაქვს თქვენთან. გუშინ კონვენტს გაუუზავნეთ წერილი. მსჯავრდადებულები დაცვის მოწმეების გამოძახებას გვთხოვენ. წერილი გაიგზავნა საზოგადოების ხსნის კომიტეტის სახელზე...

*(კოლეგას შეხედავს).*

**ბარერი** – სად არის... რატომ... აქამდე... რა უყავით ბარათს?

**რობესპიერი** – მოვიტაცე. ჯიბეში მიღვეს.

**ბარერი** – რატომ?

**რობესპიერი** – იმიტომ, რომ არ მინდა ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი კონვენტმა ჩემი მეთვალყურეობის გარეშე გადაწყვიტოს.

**ფუკიე** – რობესპიერ, ეს ხომ თქვენს უფლებებს აღემატება?!

**რობესპიერი** – კონვენტი გიპასუხებთ, როცა ჩემს გადაწყვეტილებას შევატყობინებ.

**ბარერი** – ყოველი წუთი ძვირფასია, განსაკუთრებით, ჩვენთვის.

**რობესპიერი** – პასუხი, თუ კონვენტი გაღირსებთ, უარყოფითი იქნება.

**ფუკიე** – ეს კანონის დარღვევაა.

**რობესპიერი** – ერთი გოჯითაც ვეღარ დავიხვეთ უკან. დავიხვეთ თუ არა – დავილუპებით.

**ფუკიე** – იცით, იქ რა ხდება? რაიმე, თუნდაც უმნიშვნელო, თუ არ დავუთმეთ... ვეღარ გაუძლებთ...

**რობესპიერი** – *(უხეშად)* თუ კიდევ ერთი წამით მაინც შეყოყმანდები, სასამართლოდან პირდაპირ ციხეში გიკრავ თავს. შენი კოლეგებიც გააფრთხილე. ეს ყველას ეხება, ფუკიე!

**ბარერი** – რობესპიერ, სასამართლო თავის მოვალეობას ვერ აღასრულებს ასეთი დაწოლის ქვეშ...

**რობესპიერი** – მაგას ენახავთ – აღასრულებს თუ ვერ აღასრულებს. ბურჟუებს კუდის ქიცინით ემსახურებოდი, აჯანყებული ხალხის იაკობინური ხმა კი გაშინებს?! აი, ეს ხმა არის ჩემი ერთადერთი კანონი... უჰ, მგონი, დავავიანე... ხომ გასაგებია ყველაფერი?

**ფუკიე** – *(ცდილობს, ირონიას მოუხმოს)* აბა, რა! აბა, რა! ყველაფერი ზედმიწევნით გავიგეთ. *(სერიოზულად)* ზედმიწევნით... ყველაფერი...

## მეთხუთმეტე სცენა

*ტრიბუნალი*

**დანტონი** – რესპუბლიკა საფრთხეშია, ამას კი ინსტრუქციები არა ჰქონია! ჩვენ თხოვნით მივმართავთ ხალხს!! ჩემი ხმა ჯერ კიდევ ძლიერია, დეცემპირების გამოსათხოვარს კარგად გავაგებინებ მგლოვიარეთ სასაფლაოზე. ვიმეორებ: ჩვენ მოვითხოვთ შეიქმნას კომისია, რადგანაც მნიშვნელოვანი რამ გვაქვს განსაცხადებელი. ახლა კი უკან ვიხვევ, გონიერების ციხესიმაგრეში; იქიდან



ჭემმარიტების ზარბაზნებს დავუშენ ჩემს უმწეო მტრებს და ნაცარტუტად ვაქცევ! *(მოწონების შეძახილები. მქუხარე ტაში).*

**ფუკიე** – ჩუმად! ჩუმად! *(არ ჩერდებიან)* რესპუბლიკის სახელით მოვითხოვ სირუქეს! *(სიჩუმე)* პატივი ეცით კანონს! კონვენტმა დაადგინა: მიიღო რა მხედველობაში, რომ ციხეებში ამბოხება მზადდება, რომ დანტონისა და დემულენის ცოლები აპირებდნენ ბრბოსთვის ფული დაერიგებინათ, რომ გენერალი დილონი ციხიდან გამოქცევასა და ამბოხებულთა სარდლობას აპირებდა, პასუხისგებაში მიცემულთა გასათავისუფლებლად და ბოლოს, მიიღო რა მხედველობაში, რომ თვითონ ბრალდებულები ცდილობენ გამოეწვიათ უწესრიგობანი, აურზაური და შურაცხყოფა მიეყენებინათ ტრიბუნალისათვის *(ან შეურაცხყოფით ტრიბუნალი)*, უფლება მიეცა ტრიბუნალს, გამოიძიოს საქმე შესვენებების გარეშე და სიტყვა ჩამოართვას ნებისმიერ ბრალდებულს, რომელიც ღირსეულ პატივისცემას არ გამოიჩენს კანონისადმი!

**დანტონი** – ახლა მე ვკვიტხები დამსწრე საზოგადოებას – რით შეურაცხვეავით ჩვენ ტრიბუნალი ან ზალხი, ანდა ნაციონალური კონვენტი?

**ხმები** – არაფრით! არაფრით!

**დემულენი** – ჩვენი ცოლების დახოცვაც უნდათ! დანტონი!

**დანტონი** – როცა იქნება, ჭემმარიტება თავს იჩენს. ვხედავ, რა დიდი უბედურება ემუქრება ჩემს საფრანგეთს. ეს უბედურება – დიქტატურაა! ახლა მან ნილაბი ჩამოიხსნა, უშიშრად მოიღერა კისერი და ჩვენს გვამებზე მიაღაჯებს. *(უთითებს ბარერზე)* ერთი შეხედეთ ამ მშიშარა მკვლელებს! ესენი საზოგადოების ხსნის კომიტეტის ყვავები არიან! მე ბრალს ვდებ რობესპიერის, სენ-ჟიუსტისა და მათ ჯალათებს სახელმწიფოს ღალატში. მათ სურთ რევოლუცია სისხლში ჩაახრჩონ. გილიოტინის ოთხთვალეები გზას უტკეპნიან ინტერვენტებს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქისკენ. როდემდე დასტოვებს თავისუფლება თავის გზაზე სასაფლაოებს? თქვენ გშიათ პური, ესენი კი მოკვეთილ თავებს გიგორებენ მკლავებში; თქვენა გწყურიათ, ესენი კი გილიოტინის საფეხურებზე ჩამოღვენთილ სისხლს გალოკვინებენ! *(დარბაზში დიდი ძღველვარებაა. ტაში. ოვაცია. შეძახილები: „ვაუმარჯოს დანტონს! ძირს დეცემვირები!“ პატიმრები ძლივს და ძალით ვაჭყავთ ტრიბუნალიდან).*

*(ტრიბუნალის წინა მოედანი)*

- I მოქალაქე** – გაუმარჯოს დანტონს! ძირს დეცემვირები! *(პაუზის შემდეგ)* მართალი თქვა: მოკვეთილი თავები – პურის მაგივრად, ღვინის ნაცვლად – სისხლი!
- ქალი** – გილიოტინის წისქვილის ჯალათი სასსონი პურს ვერ დაგვიფუქავს! ჩვენ გვშია! მოგვეცით პური!
- II მოქალაქე** – ლაფაიეტიც თქვენთან არ იყო? ხომ მოლალატე გამოდგა?
- I მოქალაქე** – დანტონი ჩვენთან იყო ათ აგვისტოს, სექტემბერშიც. ისინი სად იყვნენ მაშინ, ვინც ახლა მას ადანაშაულებს?
- II მოქალაქე** – ლაფაიეტიც თქვენთან იყო ვერსალში, მაგრამ მოლალატე აღმოჩნდა!
- I მოქალაქე** – ვინა სთქვა, დანტონი მოლალატეაო?
- II მოქალაქე** – რობესპიერიმა!
- I მოქალაქე** – რობესპიერი თვითონ არის მოლალატე!
- II მოქალაქე** – ეს ვინლა გითხრა?
- I მოქალაქე** – დანტონიმა!
- II მოქალაქე** – ხომ გინახავს, როგორ იცვამს დანტონი, რა სახლი აქვს, რა ცოლი ჰყავს; ის ვერცხლის თეფშებზე მიირთმევს ნანადირევს, ბურგუნდიულ ღვინოში ბანაობს და როცა დათვრება, თქვენ ცოლებთან და ქალიშვილებთან კოტრიალობს. დანტონი ჩვენზე ღარიბი იყო, საიდან გაუჩნდა ამდენი სიმდიდრე? მეფემ უყიდა ყველაფერი, გვირგვინის გადასარჩენად; ორლეანის ჰერცოგმა მისცა უამრავი, გვირგვინი მომიპარეო; უცხოელებმაც გაამდიდრეს, რომ ჩვენ გავეყიდეთ. რობესპიერს? რა აქვს იმ უანგაროს! რა აქვს სათნობით სავსე რობესპიერს? არაფერი. თქვენ იცით ეს... ყველაფერი... და ძალიან კარგადაც.
- ყველანი** – გაუმარჯოს რობესპიერს! ძირს დანტონი! ძირს მოლალატე! გაუმარჯოს უანგაროს! გაუმარჯოს რობესპიერის!

**ჩაბნელება**

## მეთექსმეტე სცენა

*კონსიუერის ციხე – კედელთან ატუზულა წარმოსადგეი, თავდაბალი ჯალათი სანსონი. აქვთ ოთხი დალაქი, რომლებიც პირდაღებული შესცქერიან დანტონს.*

**დანტონი** – ვითომ ჩვენ რამდენიმე შეთქმულებაში ვმონაწილეობდით ერთდროულად და *(ხარხარებს)* საფრთხეს ვუქმნიდით რესპუბლიკას. „მიესაჯოთ სიკვდილი თავის მოკვეთით გილიოტინაზე!“ დამპლები! ჩემი გასამართლება მხოლოდ მომავალ თაობებს შეუძლიათ! *(პაუზა. დალაქი ანიშნებს, სკამზე დაჯექით)* სიამოვნებით! *(დაჯდება, საყელოს შემოივლეჯს და უკანმოუხედავად აქეზებს დალაქს)* მიდი! ნუ გეშინია! *(დალაქები ერთდროულად კრეჭენ კეფას დელაკრუას, ფილიპოსა და პატიმარს)* მორჩა! მივდივარ! მივდივარ და საშინელ ქაოსსა ვტოვებ. რობესპიერი! სენ-ჟიუსტი! ოი, ღმერთებო! ამათ ქვეყნის მართვისა რა გაეგებათ?!

**დალაქი** – *(ძორიდებულიად)* მოქალაქე... ასე შეიძლება გაგიჭრათ კიდევაც...

**დანტონი** – გეშინია, ჯალათ სანსონს სამუშაო ფრონტი დაუმახინჯო?

**ფილიპო** – გეყოფა, დანტონ, შიშს ყბელობით ვერ აჯობებ.

**დატონ** – როგორ მიბედავ!

**ფილიპო** – დაწინარდი, მეც მეშინია. სიკვდილს თვალს ვერ გაუსწორებ; ძნელია, შეუძლებელიც!

**დანტონი** – ვცახცახებ, დიას, ვცახცახებ, იმ ტკივილისა და რისხვის გამო, ჩემი სამშობლოს ბედი...

**დელაკრუა** – ვიცით, ვიცით და ძალიანაც გვეცოდები, შე საწყალო, შე უბედურო! *(დანტონი ვახევდა. დელაკრუას ხელებს გაუკრავენ ზურგსუკან)*

**ფილიპო** – *(რბილად, წამიერი პაუზის შემდეგ)* ნუთუ მართლა ვერ ხვდებით, დანტონი, რომ არარაობა ხართ. რომ თქვენგან მხოლოდ ნამსხვრევებილა დარჩა. ახლა თქვენ ისევ ჩვეულებრივი პროვინციელი ადვოკატი ხართ. რას იზამ! ნულის მნიშვნელობა დამოკიდებულია მის ადგილზე ციფრთა სისტემაში! *(ადგება, დალაქი საყელოს შემოივლეჯს. შემოყავთ დეშულენი. დასვავენ. პარსავენ)*

**დემულენი** – *(ივრძნობს თუ არა სამართებელს კისერზე, ყვირის)*  
აააა, ააა-აბ!

**დანტონი** – გაჩუმდი, ვირო! *(მაგიდას მივარდება და ხელისგულებით დაეყრდნობა. კამილი გადავარდება. რკინისებური თავაზიანობა კვლათისა და დალაქებისა. ახლა დანტონის უახლოვლებიან თოკით)* ერთი წუთი მადროვეთ... რაღაც ვერა ვარ კარგად...

**ფილიპო** – და ამათი ხელმძღვანელობით უნდა დაწყებულიყო საფრანგეთის აღმასვლა?

**დანტონი** – *(აჯობა წამიერ სისუსტეს)* იყმუვლეთ, ილმუვლეთ, იტირეთ, დოყლაპიებო! აღარაფერი არ მენანება! ყველაფერი ვიცოდი. ფულის კეთება – ვიცოდი! ხარჯვაც ვიცოდი – გემრიელად, უდარდელად – ეს კი ძალზე ძნელი საქმეა! გოგოებსაც ზმირად ვიცვლიდი. ხარივით ვსვამდი – ვერავინ ვერ მიძლებდა. გამძღარი ვარ, პირთამდე სავსე! მაგრამ ძალიან კარგი იყო ეს ყველაფერი! *(დალაქებს ხელებს გაუწვდის)* ერთი კვირის შემდეგ, რობესპიერი აქ რომ დადგება, მისი ცხოვრების შეჯამება ასეთი კარგი მოსასმენი არ უნდა იყოს.

**დემულენი** – ბრავო, დანტონ, ბრავო! არ გამოტყდე! მაგრად დადექი! იცრუე, იცრუე, ვიდრე გილიოტინა დაცურდება!

**დელაკრუა** – ქუდს მოვიხნდი შენს წინაშე კამილ დემულენი, რომ მეხუროს და ხელებიც თავისუფალი მქონდეს.

**სანსონი** – ყველაფერი მზად არის. წავიდეთ!

**დანტონი** – წინ, ძმებო! გასწით! თავაწუქუნნი და მშვიდად შევხვდეთ მომავალი თაობების მართალ სამართალს!

**ფილიპო** – გაჩუმდი, შენი!...

## მეჩვიდმეტე სცენა

*(რობესპიერის ოთახი. ისმის სენ-ჟიუსტის კაკუნნი)*

**რობესპიერი** – შემოდი.

**სენ-ჟიუსტი** – სად არ გეძებუ. შენ კი შინა ყოფილხარ!

**რობესპიერი** – მოხდა რამე?

**სენ-ჟიუსტი** – მოხდა! გავიმარჯვეთ! შეწინააღმდეგება აზრად არავის მოსვლია! ხალხი მშვიდად, უფრო სწორად, გულგრილად შეხვდა ამ ამბავს.

**რობესპიერი** – ეგ სულ არ მადარდებდა. ხალხი დამარცხებულთა მხარეს დაიჭერს?!

**სენ-ჟიუსტი** – ო-ლია, მაქსიმ! ბასტილიაც ხალხმა დაამხო.

**რობესპიერი** – მართალია, მართალი!

**სენ-ჟიუსტი** – თუ გრძნობ, რომ დღეიდან მთელი ხელისუფლება შენ გეკუთვნის?

**რობესპიერი** – ნუ მაწვილებ, სენ-ჟიუსტ!

**სენ-ჟიუსტი** – თავადაც კარგად მოგეხსენება, რომ შენს გარდა ვერავინ დაუდგება პირისპირ იმ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა. უფრო მეტიც, ხელისუფლებამდე ჯერ არავინ ამაღლებულა. ყველაზე გულწრფელი რევოლუციონერიც კი აცუნდრუკდება ხოლმე, როცა წარმატებისაგან თავბრუ ესხმის. მხოლოდ შენ ერთს არასოდეს არ გავიწყდება, ხალხის წარმმართველი ძრავა რომა ხარ, (პაუზა) მაგრამ... რაღაც არ მომწონხარ. ავდა ხარ?

**რობესპიერი** – არა... მიშავს რა... იცი, რაღაც გამოძეცალა!!!

**სენ-ჟიუსტი** – რა? ნიადაგი? შენ ხომ ყოველთვის იცი, რაც უნდა მოიმოქმედო?

**რობესპიერი** – ჩემო ბიჭუნა, სწორედ ეგ არ ვიცი, რა უნდა ვქნა. თანაც ერთი აზრი ამეკვიატა და ტვინს მიღრღნის: ის, რაც ჩვენ, რევოლუციის წინამძღოლებს კატასტროფა გვეგონია, ხალხისთვის ხსნა და შვება რომ აღმოჩნდეს? ეს უპასუხო კითხვა ისე მაწამებს, ლამის გავვიჟღე. რევოლუციის პროგრამის ნებისმიერი პარაგრაფი, „ადამიანთა უფლებების“ ნებისმიერი პოსტულატი ცხვირწინ კი მიძევს, მაგრამ ველარ ვხედავ: რაღაცამ წაშალა ეს ყველაფერი...

**სენ-ჟიუსტი** – ამის თქმას როგორ ბედავ? ან მე ამას როგორ მეუბნები? გინდა ჩემთვის შეგიწყევია რწმენა და გინდა ათასობით ჩვენი მომხრისათვის!

**რობესპიერი** – ეგებ მე უნდა ჩამოვცილდე... ეგებ აჯობებს მთელი ჩვენი ევროპისათვის, თუ უეცრად გადავდგები... და თუ რევოლუციაც ჩაცხრება...

**სენ-ჟიუსტი** – რას ამბობ მაქსიმ? ეს რამ გაფიქრებინა?

**რობესპიერი** – მაშ, რა უნდა ვქნა? წინ ბრმად ვიარო? ეგებ მოსახვევს მიღმა ღრმა უფსკრულია. შენ თვითონ არ მითხარი, დღეიდან დიქტატორობა უნდა იკისროო?!

**სენ-ჟიუსტი** – დიას, ვითხარი.

**რობესპიერი** – თუ ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ერს არ შეუძლია, არ ძალუძს თვითმმართველობა; რომ სამოქალაქო წყობილების საფუძველი და დასაყრდენი – დემოკრატია, სინამდვილეში ილუზია ყოფილა და სხვა არაფერი.

**სენ-ჟიუსტი** – ეგ სიტყვები მხოლოდ ბოღვაა. მორალური ტანჯვა ერთია – რეალური კრიზისი კი სულ სხვაა. თუ ჩვენი პროგრამა შეცდომაა, ძირფესვიანად უნდა გადავაკეთოთ. ერთმმართველობა თუ დემოკრატია? მაქსიმ, ძირითადი მიზნის მისაღწევად, რა მნიშვნელობა აქვს ამას? ფაქტი ისაა, რომ ხალხი გადატაცდა. ხალხისთვის სულერთია, რა წყობილებას დაამყარებ საფრანგეთში თუ, ბოლოს და ბოლოს, ყველა ადამიანურად იცხოვრებს.

**რობესპიერი** – შენ იცი, სენ-ჟიუსტ, რა არის ხალხი?

**სენ-ჟიუსტი** – ხალხი კაცობრიობის ცხრა მეათედია, რომელსაც ის მეათე მეათედი, ეგოიზმის ფუჭი მიზნების გამო, ამცირებს და ჩაგრავს. ხალხია ყველა, ვისაც სიღარიბისა და უაღრესად მძიმე სამუშაოს გამო დაკარგული აქვს ადამიანური სახე.

**რობესპიერი** – ახლა სცადე და კაცობრიობა ვერტიკალურ ჭრილშიც განიხილე. რას დაინახავ? ეს არის ათასსაფეხურიანი კიბე, დაწყებული არაბუნებრივად მსხვილი ბანკირებიდან ყველაზე მცირე მონებამდე – ტუნისელ ზანგებამდე. ამ კიბის ყველა საფეხურზე დგას დაბლამდგომთა მჩაგვრელი და სისხლისმწოველი, რომელიც თვითონ იჩაგრება ზემდგომ მჩაგვრელთა და სისხლისმწოველთაგან. აბა, სცადე და დაამორე ერთიმეორეს... რა არის ადამიანი? ბუნების რომელი ძალები და კანონები ამოძრავებენ საზოგადოებას? რა უნდათ ხალხებს? ადამიანებს? ნეტა მართალია, ადამიანი თავისუფლებისათვის იბადებაო? ვაი თუ დღევანდელი სისასტიკე უფრო სჭირდებათ!

**სენ-ჟიუსტი** – მაქსიმ! ეს უკვე აბსურდია! თავისუფლებისაკენ სწრაფვამ და რწმენამ გამოაღვიძა ჩვენი ხალხი და გამოგლიჯა ათეული საუკუნეებით მიჩვეულ პასიურ უმოქმედებას.

**რობესპიერი** – მაგრამ ეს სწრაფვა და რწმენა შეიძლება ოპტიკური შეცდომა ან სულაც თავისმოტყუება აღმოჩნდეს. ამის შემდეგ ქაოსი იწყება, სენ-ჟიუსტ.

**სენ-ჟიუსტი** – ეს შესაძლებელიც რომ იყოს, მაინც წინ უნდა ვიაროთ. დაე, დამყარდეს, რაც მოსახდენია. მაშინაც კი, და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, ღირს სიკვდილი ამ რწმენისათვის, ღირს, პირისპირ შეეხოს ამ კატასტროფას, უკანასკნელ კრახს!

და იცი რატომ? აღარაფერი არ არსებობს ქვეყანაზე და ამ რწმენაზე უმაღლესი!!

**რობესპიერი** – თავგანწირვა ილუზიისთვის?... ილუზიაა უუმაღლესი? შენ ჩემი განადგურება გინდა.

**სენ-ჟიუსტი** – შენ კი – ჩემი! უნდა მიველოცოთ რევოლუციას – ორივეს გვკარგავს!

**რობესპიერი** – არა, ეს არ უნდა მოხდეს! ალბათ, კრიზისია! სხვა რა უნდა იყოს?

**სენ-ჟიუსტი** – კრიზისი კი არა, უარესია! ეს ხომ სასოწარკვეთაა! დაიხალე ტყვია, რალას უცდი?

**რობესპიერი** – კარგი აზრია! ვისლა ვჭირდები? არავის. ესე იგი, თავისუფალი ვარ. ახლა კი დავეგდები და გემოზე გამოვიძინებ, *(წამიერი პაუზის შემდეგ)* ანტონ!

**სენ-ჟიუსტი** – გისმენ.

**რობესპიერი** – თუ შეიძლება, წასვლისას, არ გამაღვიძო ... უკვე ვიძინებ... კარგად იყავი.

## მეთვრამეტე სცენა

*ციხეში და ეშფოტთან. საათის წიკწიკი.*

**დანტონი** – ნუთუ არ მომასვენებს ეს საათი? წიკწიკთან ერთად ვიწროვდება ციხის კედლები და ისე მჭიდროდ მეხება ახლა, თითქოს კუბოში ვწევარ. ბავშვობაში წავიკითხე რალაც ამგვარი და შიშისაგან ვერ დამეძინა. ეს ბავშვობა რალამ გამახსენა?! ღირდა, განა, ასე მონდონებით მეჭამა, მესვა მხოლოდ იმიტომ, რომ ამხელა გავზრდილიყავი! მესაფლავეებმა რა დააშავეს! მეჩვენება, თითქოს უკვე ვიზრწნები. ხვალ დამსხვრეული ვიოლინო ვიქნები: ჩემი სიმღერა უკვე დაუკრეს. ხვალ ცარიელი ბოთლი ვიქნები: ჩემი ღვინო უკვე შეისვა, მაგრამ სიმთვრალეს ვერ ვგრძნობ. ფხიზელზე ფხიზელად ვწვები ლოგინში. მაგრამ ეს რას მიშველის? მართალი უთქვამთ, უსაზიზღრესი რამ ყოფილა, რომ უნდა მოკვდე. და სიკვდილისას ისეთივე უძწეონი ვართ, ვით ახალშობილი ჩვილი. თუმცა სუდარას დაგვაფენენ ჩვილის სახვევი ჩვრების მაგივრად, მაინც შეგვიძლია სამარეში ბავშვივით ვიჭყვიპინოთ, ვითომ აკვანში ვნებივრობდეთ. სულ

სხვანაირად მინდოდა მოემკვდარიყავი – ძალდაუტანებლად. თითქოს ვარსკვლავი მოწყდაო ზეცას, თითქოს თავისით გაიპარაო ნარნარად ბგერა, თითქოს მზის სხივი ჩაიძირაო გამჭვირვალე წყაროში. ცა მოჭედოდა, თითქოს ღამეს ვარსკვლავების ცრემლი სდენია. ო, რა დიდი და მწარე დარდი უნდა ჰქონდეთ იმ თვალებს, რომელთაც ასე მოციმციმე და ამდენი ცრემლი უღვრია. *(პაუზის შეძღვევ)* ყველა საქმე დაუმთავრებელი და აწეწილი მრჩება. მართვა არავინ აღარ იცის. ყველაფერს ეშველებოდა, რომ შემეძლოს, რობესპიერის ჩემი კახპები, კუტონს კი ჩემი ფეხები დაუვტოვო.

**დელაკრუა** – ამით თავისუფლებას მეძავ ქალად გადააქცევდი.

**დანტონი** – რა მოხდა მერე? თავისუფლება და მეძავი ქალი მსოფლიოში ყველაზე კოსმოპოლიტები არიან. ამიერიდან ეს ჩვენი თავისუფლება არასელი ადვოკატის სარეცელს გაინაწილებს. მაგრამ დიდი ხნით არ გეგონოთ. ხანმოკლე იქნება თავლობის თვე. ექვსი თვეც კი არ გაივლის, უანგაროს გავიყოლიებ.

**დელაკრუა** – როცა ჩავუვლით, ეს ვირები შემოგვძახებენ: „რესპუბლიკას გაუმარჯოსო!“.

**დანტონი** – ნურც მაგას იდარდებთ! დაე, რევოლუციის ნიაღვარმა ჩვენი ძვლები იქ გარიყოს, სადაც ნებაგს. მაგრამ როცა ამოთხრიან, იმ ძვლებით ისევ შეეძლებათ მეფეთა თავის ქალების მსხვერვეა; ჩვენი გვამების აირები ისევ დახუთავენ ყველა დესპოტს და დესპოტიზმსაც. მთელი მსოფლიო არის ქაოსი. ის საშინელ ტკივილებში შობს უწმინდეს ღმერთს – უზენაეს არარაობას.

**ფილიპო** – ღამე მშვიდობისა, ჩემო მეგობრებო! მშვიდად გადავიხურით უკიდევანო წყვიდადი, რომელიც ყველა გულისცემას აჩერებს და ყველა თვალთახედვას აქრობს.

*(ეხვევიან ერთმანეთს. ვილიოტინაზე პირველი კამილ დემულენი ადის)*

**დემულენი** – ნახვამდის, დანტონ! *(ჯალათი ხელს ჰკრავს)*

**დანტონი** – *(ჯალათს)* სიკვდილზე მკაცრად ნუ მოიქცევი. იქ, კალათში, ხომ ვეღარ შეძლებ ხელი შეუშალო, როცა ჩვენი მოკვეთილი თავები ერთმანეთს ეამბორებიან. *(ვილიოტინაზე ადიან ფილიპო, დელაკრუა, ბოლოს – დანტონი. საქმე მოთავდა. ჯალათები იქსურობას აწესრიგებენ).*

**I ჯალათი** – *(ვილიოტინაზე ჩალიჩობს და ძღერის)* შინისაკენ, ჩქარა, მალე, გზას გვინათებს ვიდრე მთვარე...



II ჯაღათი – ეი, გოლა, არ მოდიხარ?

I ჯაღათი – ახლავე, ახლავე... *(ძღუერის)* მამა შიშით კითხავს  
ლამეს:

ბიჭი რატომ იგვიანებს?

*(ხელს დაიბურტყავს)* ესეც ასე...

*(ორივენი ერთად მიდიან და მიიმღერებიან)*